# ალია

რეკლამა ალია
577 44-44-42
577 99-99-96

N1 (2931) 8 იანვარი 2014 წ ფასი 1 ლ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## პეტრე მამრაძე: „მე მაქვს „ნაცების“ კულუარებიდან ინფორმაცია...“



## რა უხარიათ და რის მოლოდინში არიან „ნაციონალები“?

### ახალი ხელისუფლებაც „თავისუფლების ინსტიტუტთან“ თანამშრომლობს?



### ახალი ბრალდებები თეა წულუკიანის წინააღმდეგ



### „ამაზე პატრიარქმაც ისაუბრა, მაგრამ ხელისუფლებას არაფრის გაგონება არ უნდა...“



### რა კანონის მიღებას ბლოკავს პარლამენტი?

### არასაპარლამენტო პარტიები კოალიციას ქმნიან



## სააკაშვილის მზაკვრული გეგმა



# სააკაშვილის მზაკვრული გეგმა

31 დეკემბრის ღამეს ევროპის მოედანზე მორიგი უნიჭო წარმოდგენა გაიმართა, რომელსაც თავიდან ბოლომდე თბილისის მერიის კულტურის სამსახური და მისი ხელმძღვანელი, ნეკა სებისკვერაძე კურირებდა. დიახ, ეს პატარა გოგო თან მღეროდა, თან კურირებდა და თან ზემდგომების დავალებებს ასრულებდა. სანამ დეტალურ თხრობაზე გადავალ, ერთ რამეს დავაკონკრეტებ: წინა დღეებში კონცერტის მომწყობნი კი ტრაბახობდნენ, ინოვაციური წარმოდგენა უნდა გავმართოთო, მაგრამ ეს იყო უგემოვნობისა და გოიმობის მწვერვალი იმ ვითომმომღერლების მონაწილეობით, რომლებიც 9 წლის განმავლობაში „ნაციონალების" დანაშაულებრივ საქმიანობას „აპრავებდნენ". ამ პერიოდში ზოგი კობა ნაყოფიას „მადნეულიდან" იღებდა საკმაოდ სოლიდურ ხელფასს, ზოგი კიდევ კულტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა გრანტების სახით.

ევროპის მოედანზე გამართული უნიჭო წარმოდგენა ხილული ძაფებით იყო დაკავშირებული „ნაცმოძრაობასთან" – 3 საათის განმავლობაში გადაიცემოდა „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში; ასევე, უხილავი ძაფებით იყო დაკავშირებული „ნაცმოძრაობის" დღევანდელ იდეოლოგებთან, ირმა ნადირაშვილთან, გიგი უგულავასთან და მიშა მაჭავარიანთან. დღეს ეს სამი ადამიანი მართავს „რუსთავი 2"-ს და არა ნიკა გვარამია, რომელიც უაზრო განცხადებებს აკეთებს, თითქოს თავის თავზე იღებს, მე ტელეკომპანიის გენდირექტორი ვარ და რასაც მინდა, იმას გადავცემ ეთერშიო. შეგახსენებთ, 31 დეკემბრის ღამეს მან ეთერში არ გაუშვა არც მისი უწმინდესობის, არც პრემიერ-მინისტრის და არც პრეზიდენტის საახალწლო მილოცვა. მისი განმარტებით:

„ვფიქრობ, როგორც არხის გენერალურ დირექტორს, მაქვს უფლება, მივიღო ის გადაწყვეტილება, რომელიც მიმაჩნია მნიშვნელოვნად და პრინციპულად ვთვლი, რომ საახალწლო მილოცვები წინასაახალწლო ეთერში წარმოადგენს პოსტსაბჭოთა რეგიონისთვის დამახასიათებელ გადმონაშთს და არ არის დამახასიათებელი არც ერთი მეტ-ნაკლებად წარმატებული დემოკრატიისთვის, თუ არ ჩავთვლით იშვიათ გამონაკლისებს, ისიც საზოგადოებრივ არხებზე. ამიტომაც, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, რომ ჩვენი არხი აუცილებლად გამოეთხოვოს ამ მანკიერ ტრადიციას. ასევე, კატეგორიულ პირობად დავუყენეთ ქალაქის მერს, გიგი უგულავას, რომ არ მომხდარიყო მერიის მიერ რიყეზე ორგანიზებული კონცერტის რაიმე სახით პოლიტიზება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არხი უარს იტყოდა კონცერტის ტრანსლირებაზე".



ცრუობს ნიკა გვარამია, სინამდვილეში სულ სხვა რამეშია საქმე... ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, მას გიგი უგულავამ დაურეკა და გადასცა სააკაშვილის სურვილი, ეთერში არ გადაეცა მსგავსი რაღაცები. როდესაც გვარამიამ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, უგულავამ მკაცრად შეახსენა, ვისი ტელევიზიის გენერალური დირექტორი ბრძანდება ამჟამად!

სხვათა შორის, შეგახსენებთ კიდევ ერთ მომენტს: 28 დეკემბერს 6-საათიანი „კურიერის" წამყვანმა, გიორგი გაბუნიამ ასე დაასრულა:

„იყო დრო, როცა მიხეილ სააკაშვილი მესტიაში თხილამურებზე სრიალებდა, რამდენიმე საათში კი ანაკლიაში, ზღვაში ბანაობდა. დღეს პრეზიდენტს ვერც ზღვაში იპოვით და ვერც მთაში, მაგრამ იგივე მესტიაში დღეს ახალი მთავრობის წევრების ნახვა შეიძლებოდა, რომლებმაც კურორტზე ზამთრის სეზონი გახსნეს. მიშას ნაკვალევი მესტიაში ახალმა თოვლმა დაფარა. ისრიალეთ, ვიდრე თოვლი არ დამდნარა, მაგრამ ფრთხილად - არ მოსრიალდეთ!"

იგივე ინკოგნიტო წყაროს მტკიცებით, აღნიშნული ტექსტი არც ნიკა გვარამიას ეკუთვნის, არც გიორგი გაბუნიას და არც რომელიმე ჟურნალისტს, ეს ყოფილა სააკაშვილ-მაჭავარიანის ერთობლივი შემოქმედება. როდესაც „სრიალის" შესახებ გვარამიამ პირდაპირ ეთერში მოისმინა, ლამის კედლებზე დაუწყია სიარული, მაგრამ მალევე შეაჩერეს და ისევ შეახსენეს: ხომ არ გავიწყდება, სააკაშვილის ტელევიზიაში რომ მუშაობ?!



დავუბრუნდეთ 31 დეკემბრის ღამეს... მიშა მაჭავარიანის, ირმა ნადირაშვილისა და გიგი უგულავას მოთხოვნა ასეთი იყო: სცენაზე არ უნდა მოხვედრილიყო არც ერთი პოლიტიკოსი, თუ ვინმე მაინც შეეცდებოდა მილოცვას, ნეკა სებისკვერაძეს ეგრევე უნდა დაერეკა ირმა ნადირაშვილისთვის, რათა „რუსთავი 2"-ის ეთერში სარეკლამო რგოლი გაეშვათ. თუკი დარეკვას ვერ მოასწრებდა, ყველაფერი უნდა ეღონა, რომ ეს „ვინმე" სცენიდან ჩამოეგდო. ცხადია, ამ შემთხვევაში გათვლა კოალიციის წევრებზე იყო, თორემ „ნაციონალები" ისედაც იყვნენ გაფრთხილებულები, რომ მსგავსი რამ არ უნდა ჩაედინათ.

კი, მაგრამ რა საჭირო იყო ასეთი ვირეშმაკობა, ვითომ რა დაშავდებოდა, პატრიარქის, პრემიერისა და პრეზიდენტის მილოცვები რომ გაეშვა ნიკა გვარამიას (მიხეილ სააკაშვილს) პირდაპირ ეთერში? არც არაფერი, მაგრამ საქართველოდან გაპარულ ექსპრეზიდენტს თავისი გეგმები აქვს, ეს ყველაფერი ჯერ ჟურნალია, კინო მერე იქნება. რას ვგულისხმობ კინოში? „რუსთავი 2"-ის ტელეკომპანიაა, რომელსაც სააკაშვილი მშვენივრად გამოიყენებს ქვეყნის ასარევად (ნურავინ შემედავებით, ამ საქმეში მას ბადალი არ ჰყავს). მას სერიოზული გეგმები აქვს და აღარც კი მალავს, რომ პრემიერ-მინისტრის სავარძელს უმიზნებს. სააკაშვილი ძალებს უკვე საკუთარი მეუღლის საშუალებით სინჯავს... როგორც ის ჰოლანდიური გაზეთისთვის („Trouw") მიცემულ ინტერვიუში ამბობს:



„ჩემს მეუღლეს საბოლოოდ პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი აქვს. მას შეუძლია წეროს წიგნები, წაიკითხოს ლექციები, თუმცა ეს არ არის მისა. ის გრძნობს, რომ ამისთვის მზად არ არის. გასულ წელს მისი პარტია არჩევნებში დამარცხდა და იქიდან მოყოლებული, ახალმა ხელისუფლებამ ჩემი ქმრის გარემოცვის წევრების მიმართ შურისმაძიებლური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ყოფილი მინისტრები გაასამართლეს, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კი დაპატიმრებულია. დიპლომატები ჩემს ქმარს ქვეყნის დატოვებას ურჩევდნენ, სწორედ ამიტომ მან ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველო დატოვა. საბედნიეროდ, მას ბევრ ადგილას სიამოვნებით ხვდებიან. თუმცა, რთულია, როცა იცი, რომ შენი ქმარი იმას არ აკეთებს, რისი გაკეთებაც უნდა და ის არ არის, ვინც უნდა, რომ იყოს. სააკაშვილი არ აპირებს კიდევ ერთხელ გაპრეზიდენტებას და არ არის ამ პოზიციით დაინტერესებული. ასე რომ, მომავალში გამორიცხულია ჩემი პირველი ლედობა. თუმცა, არავინ იცის, ვიქნები თუ არა პრემიერ-მინისტრის მეუღლე".

რა თქმა უნდა, მიშას ფეხებზე ჰკიდია მეორეხარისხოვანი თანამდებობა, ის აუცილებლად იბრძოლებს პრემიერის პოსტისთვის. აი, რისთვის სჭირდება სააკაშვილს „რუსთავი 2", რომელსაც 1 მილიონ 200-ათასიანი დავალიანება ჯერ კიდევ ჟვანიას პერიოდიდან მოსდევს და რომელიც ხახვივით შერჩა... აი, რატომ აქტიურობს პარლამენტში თავშეფარებული „ნაცბანდა" და რატომ შექმნა გურამ დონაძემ არაერთი „ჭორ-ბიურო", სააგენტოს სახით, სადაც დამფუძნებელი მეფუტკრეობაში გაწაფული კობა ხაბაზი გახლავთ.

იწყებს თუ არა ქვეყნისთვის საშიშ თამაშს მიხეილ სააკაშვილი, თავის ბანდასთან ერთად? რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან საშიში მოვლენა, ეს არის შავი ჭირის გააქტიურება და ხელისუფლების დამხობის დანაშაულებრივი მცდელობა.

რა უნდა გააკეთოს ამ დროს ახალმა ხელისუფლებამ? მაგალითად, ფეხბურთში არსებობს ასეთი დაუწერელი კანონი: გოლს ვერ გაიტან? მაშინ შენ გაგიტანენ! დამნაშავეებს არ დასჯი? მაშინ დამნაშავეები დაგსჯიან! თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამარჯვებულებს არსად არ ასამართლებენ, მაშინ გამოდის, საქართველო ისევ ბინძურ ჭაობში აღმოჩნდება, ხოლო ქართველი ხალხი მიიღებს უპრეცედენტო ანგარიშსწორებას!

ეს საყურადღებო სიგნალი უნდა იყოს კოალიციისთვისაც, საპარლამენტო უმრავლესობისთვისაც, „ქართული ოცნებისთვისაც" და ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობისთვისაც.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აბორტის თემაზე სპეცჯგუფი მუშაობს




ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის, დიმიტრი ხუნდაძის ცნობით, აბორტის თემასთან დაკავშირებით პარლამენტსა და ჯანდაცვის სამინისტროში სამუშაო ჯგუფია შექმნილი და პრობლემის გადასაჭრელად ექსპერტების მონაწილეობით ერთობლივი მუშაობა მიმდინარეობს.

„აბორტების კუთხით საქართველოში ნამდვილად არასახარბიელო სტატისტიკა არსებობს. წელიწადში რეგისტრირებული აბორტების რიცხვი დაახლოებით 35 ათასია, თუმცა არარეგისტრირებული აბორტების რაოდენობა შეიძლება იყოს ოთხჯერ-ხუთჯერ მეტი. ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია და ამ მაჩვენებლით ევროპაში პირველი ვართ, ანუ ყველაზე მკვლელი ერი, რომელიც საკუთარ შთამომავლებს ამ გზით ანადგურებს. აღსანიშნავია სელექციური აბორტები, როცა გოგონებს სიცოცხლის გაგრძელების უფლებას არ აძლევენ და არჩევანს ბიჭებზე აკეთებენ. ამან გარკვეულწილად დემოგრაფიული პრობლემა შექმნა. ზოგადად, აბორტების აკრძალვასთან დაკავშირებით ასეთი რადიკალური ვერ ვიქნები, რადგან ამან შეიძლება არარეგისტრირებული აბორტების რაოდენობის გაზრდა გამოიწვიოს და შეიძლება სიკვდილიანობამ მოიმატოს. მაქსიმალური პირობები უნდა შეიქმნას, რათა ოჯახმა ასეთ მძიმე გადაწყვეტილებაზე უარი თქვას. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ უნდა აიკრძალოს სელექციური ტიპის აბორტები. ასევე, დღეს კანონში არსებობს რეგულაცია, რომელიც სამდღიან გაფრთხილებას ითვალისწინებს, რათა მშობელს ჰქონდეს დრო მოსაფიქრებლად, როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებს. ვფიქრობ, რომ აქ ჩვენი მიდგომა უნდა გააქტიურდეს. მაქსიმალური ინფორმირებულობის საშუალება უნდა მივცეთ პირს, ვინც ასეთ გადაწყვეტილებაზე მიდის, ამ შემთხვევაში უნდა ჩაერთონ ფსიქოლოგებიც და დედამ უნდა იცოდეს, რა პრობლემის წინაშე დგას და ამ პრობლემის გადაჭრის რა გზას ირჩევს", – განაცხადა ხუნდაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ალილოს მსვლელობისას ინციდენტი მოხდა



თბილისის საკრებულოსთან, ალილოს მსვლელობის დროს მცირე ინციდენტი მოხდა. ასოციაცია „მომავლის იმედის" წარმომადგენელს, თამარ ხაჭაპურიძეს, რომელიც ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებით საპატრიარქოს პოზიციას აპროტესტებდა, ალილოს მსვლელობის რამდენიმე მონაწილე დაუპირისპირდა.

როგორც მათ განაცხადეს, დღეს არის წმინდა დღე და ამ ქალბატონს არ ჰქონდა უფლება, ასეთი პლაკატით („სინჯარაში ჩასახული ბავშვიც ბავშვია, ნუ წაართმევ უფლებას, გახდეს მშობელი") მიეღო მსვლელობაში მონაწილეობა, რადგან ეს დღევანდელი დღის შეურაცხყოფაა.

საკუთარი პოზიციის დაცვა სცადა თავად თამარ ხაჭაპურიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ იცავს ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა უფლებებს. ამის შემდეგ უკვე ვითარება საპატრულო პოლიციამ განმუხტა.

ხაჭაპურიძის განცხადებით, ის აპროტესტებს ხელოვნური განაყოფიერების გზით მოვლენილი ბავშვების დისკრედიტაციას ქართული ეკლესიის მიერ. მისი შეფასებით, ეს არის ერის გამრავლების, ასევე ოჯახისა და ადამიანის უფლების საწინააღმდეგოდ მიმართული. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



სანამ ხელისუფლება არ გამოფხიზლდება, არ დავიღლები იმის წერით, რომ ქვეყანა, წინსვლის ნაცვლად, უკან მიდის და ხელისუფლებას მართვის სადავეები გაექცა. არადა ბიძინა ივანიშვილი შეგვპირდა, რომ 2013 წელზე უკეთესი იქნება 2014 და 2015 წელი იმ ყველაფრის საუკეთესო შედეგი იქნება, რასაც ახალი ხელისუფლება გააკეთებსო, მაგრამ წინსვლის ნაცვლად, უკუსვლით მივდივართ, სახალხო ბედნიერების ნაცვლად, ჩვენ ვხედავთ სახელისუფლებო ბედნიერებას, ოჯახების გამდიდრების ნაცვლად ვხედავთ დაუსაქმებელთა არმიის გაზრდას, მხოლოდ ვიწრო სახელისუფლებო წრის გამდიდრებასა და ტოტალურ სიხარბეს.

ნამდვილად ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუკი ამდენი დამშეული პოლიტიკოსი იქნებოდა ქვეყანაში, თუკი

**მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი, კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე „ალიასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ სისტემამ კრახი განიცადა:**

**— თქვენთვის რა აღმოჩნდა ის წყალგამყოფი, რამაც მიგიყვანათ დასკვნამდე, რომ სახეზე გვაქვს მმართველობის კრახი?**

– 2013 წლის 17 დეკემბერს, მერაბიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ 14 დეკემბერს, გვიან ღამით საკნიდან უკანონოდ გაიყვანეს, მიიყვანეს იქ, სადაც იყო ყოფილი მთავარი პროკურორი ფარცხალაძე და ვინმე დარბაისელის თანდასწრებით ის ზეწოლას ახდენდა ყოფილიყო ტყუილი ეთქვა, რადგან ეს ძალიან მარტივი შესამოწმებელია, იგივე მინისტრს – სოზარ სუბარს მაგიდაზე უდგას ეკრანი, საკმარისია, ღილაკს თითი დააჭიროს და ნახოს, ნებისმიერ საკანში რა ხდება. ხელისუფლებას შეეძლო მერაბიშვილის განცხადებიდან ნახევარ საათში დაემტკიცებინა, ტყუოდა თუ სიმართლეს ამბობდა. დღეს მთელი მსოფლიო გამადიდებელი შუშით აკვირდება საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ისინი დაინახავდნენ, რომ ვანო მერაბიშვილი არის მატყუარა. თუკი ასეთი რამ მართლაც არ მომხდარა, მერაბიშვილს დამატებითი ბრალი წაეყენებოდა დანაშაულის დაბრალების მუხლით. მეტიც, 17 რომ მან ჩაიდინა დანაშაული, ამით ქულებს ჩაიწერდნენ. ამის ნაცვლად სრულიად სამარცხვინო შეჯიბრი დაიწყო, – მერაბიშვილი ტყუის, სჯობია თქვენს დანაშაულებზე ილაპარაკოთო. პროკურორმა თანამდებობა დატოვა და მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია, მერაბიშვილის ბრალდება გამოძიებული არ არის.

სისტემამ გამოააშკარავა შიგნით არსებული დეფექტი, გამოაშკარავდა, რომ ძალაუფლება განაწილებული არ არის კონსტიტუციურად გადანაწილებულ შტოებში, არამედ თავმოყრილია ერთ კონკრეტულ ადამიანში. ყველა ელოდება, რას გადაწყვეტს ის ერთი ადამიანი. დღეს ღარიბაშვილს ყველა ისე უყურებს, მური დეფექტი, მინისტრთა კაბინეტმა იმუშაოს კაბინეტურად, ხოლო პარლამენტმა თავის თავმჯდომარიანად დაიკავოს მისი ადგილი, ხოლო პლასტელინმა პრეზიდენტმა კეთილი ინებოს და იმოქმედოს ისე, როგორც ეს პრეზიდენტს ეკადრება, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. ჯამში, ვითარება ძალიან რთულია საქართველოში, სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა საშინელი მემკვიდრეობა დატოვა ყველა მიმართულებით და განსაკუთრებით, ეკონომიკის დარგში, მაგრამ სწორი მოქმედების შედეგად ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

**— ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა, რომ 2013 წელი 2014 წელზე უკეთესი იქნებოდა და ჩვენ გავაოცებდით**

## პეტრე მამრაძე: „მე მაქვს „ნაცების“ კულუარებიდან ინფორმაცია...“

# რა უხარიათ და რის მოლოდინში არიან „ნაციონალები“?

**ყველა მათგანის ოცნება იყო „პრადოს“ ჯიპში ჩაჯდომა. რასაც სჩადიხართ, ეს არის სამარცხვინო და შორიდან მოჩანხართ გაუმაძღრებად, ის, რაც არ მოგვწონდა წინა ხელისუფლების, რატომ მიდიხართ იმავე გზით. რა მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტის ქურდი „ნაცბანდა“ იქნება, თუ ამას სხვა სახელი ერქმევა? ახალი ხელისუფლების შეცდომების კასკადი უნდა შეჩერდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ხალხის აგრესიული რეაქცია მოჰყვება.**



მერაბიშვილზე. მერაბიშვილმა, ამ სადისტური სისტემის ხერხემალმა, აღნიშნა, რომ ექვსმა ვიდეოკამერამ დააფიქსირა მისი საკნიდან გაყვანა და თავადვე მოითხოვა გამოძიება. მერაბიშვილი ის კაცია, რომელიც ნებისმიერ რამეს შეთხზავს, მაგრამ ეპიზოდი, რომ ის ციხიდან გაიყვანეს... მერაბიშვილი გიჟი უნდა დეკემბერს თინა ხიდაშელმა განაცხადა, – საჭიროა, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება, ამას სულ 15 წუთი დასჭირდებაო. შესაბამისი ზომებიც აქედან გამომდინარე უნდა მივიღოთო, მაგრამ გამოძიება არ დაწყებულა, 2014 წლის 7 იანვარია და გამოძიება არ დაწყებულა.

ახლა რა არის მთავარი: პირველი – ხელისუფლებამ იმ დღესვე დაამტკიცა, რომ მერაბიშვილი მართალი იყო, როცა ციხიდან გაყვანაზე საუბრობდა. მათ საპირისპირო დოკუმენტი ვერ დადეს; მეორე – მერაბიშვილის განცხადებიდან მეორე დღეს, ფაქტი იყო, რომ კოალიციის შიგნით პირი შეკრეს და ხელი დააფარეს მთავარი პროკურორის დანაშაულს. გუნდის შიგნით მათ პრინციპული პოზიცია რომ დაეკავებინათ და ეთქვათ, – თუ 2 საათში არ დადებთ გამოძიების შედეგებს და არ მიიღებთ ზომებს, იგივე იმ „პლასტელინ პრეზიდენტს“ რომ ეთქვა, ან პარლამენტის თავმჯდომარეს, – გამოვალთ და ჩვენ მივიღებთ ზომებსო, ეს რომ მომხდარიყო, გუნდის შიგნით ვინც ჯიუტობდა, ფარცხალაძეს ხელს აფარებდა, მაშინვე უკან დაიხევდა, ეს პროცესი დამთავრდებოდა ქვეყნისთვის ძალიან კარგად და კოალიცია „ოცნებისთვის“ მომგებიანად. მათ შეეძლოთ ეთქვათ, – სამწუხაროდ, ვენდეთ სააკაშვილის ყოფილ კადრს, მაგრამ დამტკიცდა,

როგორც ივანიშვილს და პასუხისმგებლობას ვერ იღებენ საკუთარ თავზე მინისტრები და პარლამენტის თავმჯდომარე. ღარიბაშვილს უდიდეს პატივს ვცემ, ის პერსპექტიული



**„სააკაშვილი პანიკური შიშიდან უცბად გამოვიდა, ახლა ის ამზადებს გეგმას, როგორ მოხვდეს პრემიერ-მინისტრის სავარძელში, რისთვისაც შეცვალა თავის დროზე კონსტიტუცია“**

პოლიტიკოსია, მაგრამ ასე ქვეყანა ვერ იარსებებს, სახელმწიფო ვერ შედგება, ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს. მე ამ ხელისუფლების კეთილისმსურველი ვარ, ვისურვებდი დაეძლია, სისტე-

**ევროპას. დღეს რით ვაოცებთ: მოსახლეობის ტოტალური სიღატაკით, ლარის კურსის ვარდნით, ჩინოვნიკების ხელფასების გაორმაგება-გასამმაგებით, პრემიებით, ჯიპომანიით, კო-**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხელშეკრულების ახალი ნორმები 28 იანვრიდან ამოქმედდება



პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომელიც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ახალ მარეგულირებელ ნორმებს აწესებს, რამდენიმე დღეში ამოქმედდება.

სავალდებულო ხდება სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე – საკრედიტო კავშირებსა და კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტებზე. ნოტარიუსს ეკისრება ვალდებულება, განუმარტოს ხელშეკრულების მხარეებს (განსაკუთრებით, მოვალეს) ის სამართლებრივი შედეგები, რაც მათი მხრიდან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას მოჰყვება.

იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულების მიმართ დგინდება ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის ზღვრული ოდენობა: იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებისთვის, გარდა 1,000 ლარამდე (ან მისი ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში) გაცემული სესხებისა, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით (გარდა იპოთეკის სანოტარო წესით დამოწმებასა და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა), არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის არითმეტიკული საშუალოს 2.5-მაგი ოდენობის მეთორმეტედს და ის მოქმედებს ყოველი წლის 1-ლი მარტიდან.

რაც შეეხება იძულებითი აუქციონის წესით ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამ მიმართულებით ცვლილებები „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში განხორციელდა, რომლის თანახმადაც, იძულებითი აუქციონის გზით ქონების რეალიზაციისას შესაძლებელი გახდება პირველი და ორი განმეორებითი აუქციონის ჩატარება. ეს ინიციატორთა შეფასებით, აუქციონზე გატანილი ქონების საწყისი ფასის ვარდნის პროცესს შეანელებს და შექმნის მის რეალურ საბაზრო ღირებულებასთან მიახლოებული ღირებულებით რეალიზაციის მეტ შესაძლებლობას. (ინტერპრესნიუსი)

## საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს



შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განცხადებით, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე გოჩა რატიანი დაინიშნა.

სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი დავით სუჯაშვილი 2013 წლის 27 დეკემბერს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსად დაინიშნა.

რაც შეეხება რატიანს, ის ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა. (პირველი)

*მესამე გვერდიდან*

**ალიციის შიდა ომებით და გამოდის, რომ საქართველო ყველას ფეხებზე ჰკიდია, ოღონდ თვითონ იყვნენ მაგრად. ხელისუფლებამ სადავეები გაუშვა ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკური ქართველები უმცირესობაში არიან. მათთვის საქართველო მხოლოდ თბილისია, ამასობაში კი მიხეილ სააკაშვილის მეუღლე აცხადებს, რომ ის დაბრუნდება საქართველოში, როგორც პრემიერ-მინისტრის მეუღლე.**

– მე მაქვს „ნაცების“ კულუარებიდან ინფორმაცია, ისინი ხარობენ და ამბობენ, – როგორც იქნა, ყველაფერი იმ გზით მიდის, რაზეც



**„როდესაც უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი ყიდულობს უძვირფასეს მანქანას, იწყება სკანდალი, ამ დროს „პლასტელინი“ პრეზიდენტი გამოდის და ამბობს ფანტასტიკურ ფრაზას, რომ ის ამაში ვერ ხედავს ფუფუნებაში გადადგმულ ნაბიჯს“**

ართვა შეტევის საშუალება „ნაცებს“... მერაბიშვილსა და უგულავას მათ აჩუქეს პოლიტიკურად შევიწროებული და დევნილი ადამიანების სტატუსი.

იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლების მხრიდან დაგვენახა ოპერატიული მოქმედება, სიმართლის დადგენის მცდელობა და გამოძიების დაწყება მერაბიშვილის ბრალდებებზე, ჩვენ ვხედავთ ხელისუფლების ფუფუნებისკენ პათოლოგიურ სწრაფვას, გამოაშკარავდა, რომ მიდრეკილნი არიან ხალხის ძარცვისკენ, როგორც კი გამოაშკარავდა ფარცხალაძის ნასამართლობა პროკურორის მოადგილე გაბიტაშვილმაც იგივე ფასის მანქანა შეიძინა. გამოდის, რომ ორივე მათგანმა 350 ათას ლარად შეიძინა მანქანები. ეს იმ ღატაკ ქვეყანაში, სადაც ადამიანებს სარჩო-საბადებელი არ გააჩნიათ და იმ ღატაკი ქვეყნის ტექნიკურად ღატაკ პროკურატურაში, რომელსაც ელემენტარული თანამედროვე აპარატურა არ გააჩნია. როდესაც უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი ყიდულობს უძვირფასეს მანქანას, რომელიც 78 ათასი ლარი ღირს, იწყება სკანდალი, ამ დროს პლასტელინი პრეზიდენტი გამოდის და ამბობს ფანტასტიკურ

# პეტრე მამრაძე: „მე მაქვს „ნაცების“ კულუარებიდან ინფორმაცია...“

ვერც კი ვიოცნებებდით, ლობისტები რომ დაგვექირავებინა და ძალიან დიდი ფული გადაგვეხადა, ამ ეფექტს ვერ მივიღებდით, რასაც თავად „ქართული ოცნება“ გვაძლევს... პირველი დღიდან ისინი ელოდებოდნენ, რომ ეს მთავრობა აღმოჩნდებოდა უნიათო, არაეფექტური, ვერ შეძლებდნენ სახელმწიფო მართვის ხელში აღებას, მათ შორის ეკონომიკისა და ფინანსების დარგში. აი, ეს არის მათი განწყობა. ისინი ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმში არიან და ერთმანეთს ეუბნებიან, – ვაცალოთ, ესენი ქვეყანას ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებენ, ხალხი შეგვეხვეწება, გვიშველეთო... მე ვერ გეტყვით, რომ „ნაცებში“ არის იდეოლოგიური ერთიანობა, ეს არის ბანდა, საერთოდ დანაშაულით შეკრული ჯგუფი, ბევრი მათგანისთვის სააკაშვილი მძიმე ტვირთი იყო, შვებითაც ამოისუნთქეს, ცოტა შორს რომ ჰყავთ, მაგრამ მე თქვენ გეტყვით, რომ „ნაციონალებში“ აზრი ორად არის გაყოფილი. უფრო ახალგაზრდა „ნაცები“ კატეგორიულად ემიჯნებიან ძველ სახეებს, ისინი სამომავლო გეგმებს ამყარებენ გიორგი ვაშაძეზე, ცდილობენ ახალი გუნდის შექმნას და ახალი სახეების დაბრუნებას, მაგრამ ეს მათ არ გამოუვათ, რადგან ხალხს ძალიან ცუდად ახსოვს მათი მმართველობა.

**— თქვენ დასავლეთში საკმაოდ ბევრი გავლენიანი ნაცნობი გყავთ, რას აკეთებს სააკაშვილი ამერიკაში, ვის ხვდება ის და რისთვის ემზადება?**

– ჩემი ინფორმაციით, ის არავითარ ლექციებს ნიუ-იორკში არ კითხულობს, ამ ადამიანს ლექციის კითხვა არ შეუძლია, მას მხოლოდ მიტინგზე გამოსვლა და დემაგოგიური განცხადებების გაკეთება შეუძლია... სააკაშვილის მეუღლემ პრესით კომენტარი გააკეთა, რომ სააკაშვილს შეუძლია, ლექციები წაიკითხოს, მაგრამ ამისთვის მზად არ არისო... სააკაშვილს 1992 წლიდან ვიცნობ და ვიცი მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ის არის განდიდების მანიით შეპყრობილი და ვერ მოისვენებს, თუ აქტიურად არ იქნება ჩაბმული რაღაც საქმიანობაში და გამუდმებით საკუთარ თავს არ ნახავს პრესის ფურცლებზე. სწორედ მაშინ გრძნობს თავის მნიშვნელობას, როცა საკუთარ თავს ტელევიზიით ხედავს.



**„დღეს მთელი მსოფლიო გამადიდებელი შუშით აკვირდება საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ხელისუფლებას ეს რომ გაეკეთებინა, ისინი დაინახავდნენ, რომ ვანო მერაბიშვილი არის მატყუარა...“**

ჩემი ინფორმაციით, გიორგი ვაშაძე და დავით საყვარელიძე წინასაახალწლოდ სააკაშვილმა ამერიკაში იმიტომ ჩაიყვანა, რომ ინსტრუქციები მისცა და ეს არ გააკეთა ტელეფონით. ისინი ელოდებიან გაზაფხულს, რა დროსაც გააქტიურდებიან. სააკაშვილი პანიკური შიშიდან უცბად გამოვიდა, ახლა ის ამზადებს გეგმას, როგორ მოხვდეს პრემიერ-მინისტრის სავარძელში, რისთვისაც შეცვალა თავის დროზე კონსტიტუცია, რომ მოერგო პრემიერ-მინისტრის სავარძელი. ასე რომ, სააკაშვილის გეგმაა პრემიერობა და მხოლოდ პრემიერობა, მაგრამ ეს არის სააკაშვილის არარეალური ოცნება. თუმცა ერთიც უნდა ითქვას, როცა ახალმა ხელისუფლებამ აღმოაჩინა 17 ათასზე მეტი ძალადობრივი ვიდეოკადრი, მაშინ ჩვენ მოვისმინეთ „ნაციონალების“ განცხადებები. ისინი კუთხეში იყვნენ მიმწყვდეულები, ისინი ემიჯნებოდნენ ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს, მარიკა ვერულაშვილმა ისიც თქვა, – ვინც ვანო მერაბიშვილს დაუჭერს მხარს, ის ქვეყნის მტერიაო, მაგრამ ახლა შეტევაზე არიან გადასულები, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ ლანგრით მი-



**„ყველა ელოდება, რას გადაწყვეტს ის ერთი ადამიანი. დღეს ღარიბაშვილს ყველა ისე უყურებს, როგორც ივანიშვილს და პასუხისმგებლობას ვერ იღებენ საკუთარ თავზე მინისტრები და პარლამენტის თავმჯდომარე“**

ყაჩაღობისა და ქურდობის მუხლით, პარალელურად ჩვენ გავიგეთ, რომ მან შეიძინა 175-ათასლარიანი ჯიპი. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. 13 წელი ვიყავი კანცელარიის ხელმძღვანელი და ამ საკითხს ვსწავლობდი, როგორ არის მოგვარებული ეს საკითხები სხვადასხვა ქვეყნებში. უმდიდრესი ქვეყნებით დაწყებული, უღარიბესი ქვეყნებით დამთავრებული შევისწავლე, რა ხდება ევროპაში ამ კუთხით. ამ მიმართულებით ყველგან უმკაცრესი შეზღუდვაა დაწესებული. გერმანიის კანცლერსაც კი არ შეუძლია, შეიძინოს ბიუჯეტიდან 10 ათას ევროზე მეტი ღირებულების მანქანა. სანდო ადამიანებმა მითხრეს, რომ მთავარი

ფრაზას, რომ ის ამაში ვერ ხედავს ფუფუნებაში გადადგმულ ნაბიჯს.

ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება „ქოცების“ მთელ სპექტრში, ამას მიამატეთ გაზრდილი ხელფასები თავისთვის, გაცემული პრემიები, დაამატეთ ის, რომ 137 მილიონი ლარი ჩადებულია ამ წლის ბიუჯეტში, რათა დაირიგონ გაზრდილი ხელფასები და პრემიები, ამას აკეთებენ მთელი ხალხისა და მსოფლიოს დასანახად იმ ფონზე, როცა 2013 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა და გაისად ბიუჯეტს გეგმავენ ვალის აღების ხარჯზე და ვალს იღებენ იმისთვის, რომ გაიზარდონ საკუთარი ხელფასები. მე ვსვამ კითხვას, – ასეთი მოქმედებების შემდეგ „ნაცებმა“ როგორ უნდა იგრძნონ თავი?!. „ქოცები“ იქცევიან ისე, რომ „ნაცები“ ვერც კი იოცნებებენ, სულ რომ მსოფლიოს წამყვანი ლობისტები დაექირავებინათ მათ წინააღმდეგ!.. ხალხი ჯერ კიდევ ითმენს, იმიტომ რომ მწარედ ახსოვთ „ნაციონალების“ სადისტური რეჟიმი და ამბობენ, – ოღონდ ციხეებში ის წამება აღარ იყოს, ისე აღარ გვართმევდნენ ქონებას, რასაც „ნაცები“ აკეთებდნენ და მოვითმენთო... რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლება ბევრად სჯობს „ნაცებს“, მაგრამ ჩვენ გულისტკივილით ვლაპარაკობთ იმას, რაც კრიტიკას ველარ უძლებს. ფუფუნებისკენ უწყვეტ რეჟიმში გადადგმული ნაბიჯები ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს, სხვა შემთხვევაში ხალხი ამას არ აპატიებს...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პატრიარქი ევროსაბჭოს პოზიციას მიესალმება



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეპისტოლეში ცალკეულ ჯგუფებზე ამახვილებს ყურადღებას და ბრძანებს:

„დიდად სამწუხაროა, რომ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობისთვის მკვეთრად უარყოფითი იდეებით გამოირჩევიან, ჰუმანიზმის აღიარებულ წარმომადგენლებად სახელდებიან. მათ აქვთ პრივილეგიები, რეკლამა, მათზე მუშაობს მასმედია, დაცულნი არიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მათი მიზნების განხორციელებისთვის კანონმდებლობების შეცვლაც ხდება და სხვა. ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესებს, განსაკუთრებით ეკლესია, დისკრედიტების ნიაღვარში ექცევა, საზოგადოებაში კი მთავარი დარტყმის ობიექტი ოჯახია. კრიზისის მთავარ გამოვლინებას სექსუალური უმცირესობების ურთიერთობების ქალისა და მამაკაცის ქორწინებასთან გათანაბრებისა და ერთსქესიანი წყვილებისთვის ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭების საშიშროება წარმოადგენს. ასეთი კანონი ქორწინების მთელ აზრს აუკუღმართებს და ბავშვსაც, ფაქტობრივად, ნივთად აქცევს, რომლის ფლობაც ყველას შეუძლია“, – ნათქვამია პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში.

ასევე, უწმინდესის თქმით, საქართველო თავისი განვითარებით ევროპის ნაწილია, თუმცა ევროპარლამენტმა უნდა გაითვალისწინოს ცალკეული ქვეყნების ტრადიცია. „საქართველოს ეკლესია მიესალმება ევროკავშირის პოზიციას იმის შესახებ, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება არ წარმოადგენს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად ჩვენი ქვეყნის გახდომის წინაპირობას, რაც ევროკავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ბატონი ფილიპ დიმიტროვის 2013 წლის დეკემბრის განცხადებაში დაფიქსირდა“, – ნათქვამია პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში. (პირველი)

## რუსეთის პატრიარქმა ილია მეორეს შობის დღესასწაული მიულოცა

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლებს საშობაო მილოცვა გაუგზავნა.



„თქვენო უწმინდესობავ, გულითადად გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. იესო მოევლინა ქვეყანას, რათა მსოფლიოს ცოდვები ეტვირთა და ჩვენთვის თავი გაეწირა. გისურვებთ, ამ დღის ძალამ მოგანიჭოთ მშვიდობა, ფიზიკური სიძლიერე და კეთილდღეობა კიდევ მრავალი წელი“, – ნათქვამია კირილის მილოცვაში. (პირველი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# „ოცნების“ ხელისუფლებაც „თავისუფლების ინსტიტუტთან“ თანამშრომლობს?

**სად გაუჩინარდა ლაშა ნაცვლიშვილი? რაში ადანაშაულებენ და მოჰკითხავენ თუ არა პასუხს? რა სქემით ატერორებდა ის ბიზნესმენებს და რა საერთო აქვს ზურაბ ადეიშვილთან? ვისი დაწერილი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით ხელმძღვანელობს საქართველოს უშიშროების საბჭო და მივდივართ თუ არა იმ გზით, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას დააბრუნებს?**

**„ალიას“ ესაუბრება ადვოკატი მამუკა ნოზაძე:**

**— ბატონო მამუკა, თქვენ მითხარით, რომ ლაშა ნაცვლიშვილი ქვეყნიდან გაიქცა. უცხოეთში რომ არის, ამის შესახებ მეც მსმენია. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– თურქეთის მიმართულებით გავიდა ქვეყნიდან და როგორ ფიქრობთ, თუ არ გაიქცა, რატომ გადავიდა თურქეთში? ის არანაირ თანამდებობაზე აღარ არის, არანაირ სახელმწიფოებრივ დავალებას აღარ ასრულებს, არანაირი ფუნქცია მას აღარ აქვს. რამე დავალებაზე მისი წასვლა გამორიცხულია. მას ჰქონდა სერიოზული საფუძველი და შიში, რომ მის მიმართ არსებობს დასაბუთებული ფაქტები არაკანონიერ მოქმედებებთან დაკავშირებით და ამ გზით აარიდა თავი პასუხისმგებლობას. მის წინააღმდეგ უამრავი განცხადებაა შესული პროკურატურაში.

**— კონკრეტულად?**

– ცალკეული მოქალაქეებისა და ბიზნესმენების, რომელთაც ის ატერორებდა და აშანტაჟებდა, მას ამხელენ კონკრეტულ დანაშაულში, ეს ეხება ბიზნესწილებს სხვადასხვა ბიზნესსექტორებში. ამ ქმედებების გამო ლაშა ნაცვლიშვილს შიშები გაუჩნდა და გააღწია საქართველოდან, სანამ მის მიმართ დაიწყებოდა ბრალდებების წაყენება, სანამ სამართლებრივი ბაზა მომზადდებოდა, მიხვდა, რადგან შიდა სამზარეულოში კარგად იყო გარკვეული. მან ხომ ყველაზე უკეთ იცოდა, როგორ ხდებოდა პროკურატურაში საქმეების წარმოება?

**— და როდემდე დაიმალება, თუკი ბრალი წარედგინა, ინტერპოლით ვერ მოძებნიან?**

– აქამდე, გასაგებია, რომ კოჰაბიტაცია იყო, თუკი ახლა ხელისუფლება დაიწყებს სამართლიანობის აღდგენის პროცესს, პირველ რიგში ნაცვლიშვილს მოეკითხება. თუ საქართველოს მთავარ პროკურორად დაინიშნება ისეთი კადრი, რომ იქნება მიუკერძოებელი და არა ხელისუფლებისგან მართული, ნაცვლიშვილის საქმეს ის აუცილებლად მიხედავს. ამიტომ მისი ქვეყნიდან წასვლა ჩვეულებრივი მოგზაურობა არაა. ჩემი ინფორმატორის მტკიცებით, ნაცვლიშვილი ამ მომენტისთვის თურქეთში აღარ იმყოფება, ის უკვე გადასული იქნება


მამუკა ნოზაძე

ადვილად ემართათ, მაგრამ ეს არ გაუვიდათ. 21-ე საუკუნეში ინფორმაციის მოძიება რთული არაა და ადვილად გაიშიფრა ეს ადამიანი.

**— ნაცვლიშვილს დავუბრუნდეთ. იყო საუბრები, რომ ხმაურიანი საქმეების დასრულებას ის უშლიდა ხელს. ასეა?**

– დიახ. ნაცვლიშვილი კოჰაბიტაციის იდეოლოგი იყო, მისი მოქმედებები მიმართული იყო იმისკენ, რომ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის პასუხი არ ეგებინებინათ. ეს სურვილი არა მხ-



სხვა ქვეყანაში. მართლმსაჯულებას ვერავინ დაემალება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ღარიბაშვილს უნდა ჰქონდეს ამის პოლიტიკური ნება, არამედ იმიტომ, რომ მიუკერძოებელი მთავარი პროკურორი უნდა დაინიშნოს, რომელიც მხოლოდ კანონს დაემორჩილება. სამწუხაროდ, ხელისუფლების ნება არ არის იმის თაობაზე, რომ მთავარ პროკურორად გვყავდეს ობიექტური და მხოლოდ კანონზე ორიენტირებული ადამიანი, რომელიც არანაირ პოლიტიკურ კონიუნქტურას არ გაუწევს ანგარიშს. ნახეთ, ფარცხალაძე რამდენი დღეა, გადადგა და საზოგადოება ითხოვს კახა კახიშვილს დანიშვნას, როგორც ყველაზე ობიექტური ადამიანისას, მაგრამ ხელისუფლება დუმს. სწორედ ასეთი რეპუტაციის მქონე ადამიანი უნდა იქნას დანიშნული პროკურორად. თუ ის უარს იტყვის, შეიძლება გია მეფარიშვილზეც იფიქროს ხელისუფლებამ. ეს ადამიანები არავის დაქვემდებარებაში არ იქნებიან და კანონს ზედმიწევნით დაიცავენ, მაგრამ ასეთი ადამიანების დანიშვნა არ აწყობთ, ურჩევნიათ, დანიშნონ ძველი კადრი, რომელიც დაკავშირებული იქნება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ან კორუფციულ გარიგებაშია მხილებული.

**— კი, მაგრამ ახალ ხელისუფლებას რას არგებს „ნაციონალების“ გზით სიარული. ისინიც ამ ნიშნით არ ნიშნავდნენ ადამიანებს თანამდებობებზე?**

– კი, სწორედ ამას ვგულისხმობ. ხელისუფლებას აწყობს ადვილად სამართავი ადამიანი, რადგან დაავალებენ ნებისმიერ სიბინძურეს, არ გააკეთებს და დაუდებენ იმ კომპრომატს, რომელიც მის წინააღმდეგ აქვთ. ფარცხალაძის დანიშვნაც ამ მიზანს ემსახურებოდა, თორემ არ მჯერა, რომ ნასამართლობის შესახებ მისმა წარმდგენმა არაფერი იცოდა. თუ არ იცოდა, მით უარესი ღარიბაშვილისთვის, რადგან ისეთი წარსულის მქონე ადამიანი დანიშნა, რომ ხალხი მოტყუებული დარჩა. ჩემი აზრით, ფარცხალაძე იმიტომ დანიშნეს ამ თანამდებობაზე, რომ ოლოდ მისი, არამედ მთელი „რესპუბლიკელების“ ხორცშესხმული რეალობა იყო. მას პირდაპირ ჰქონდა დაკისრებული ის ფუნქცია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ძალა, შენარჩუნებული ყოფილიყო. მათი პირდაპირი სურვილი ასევე იყო, ძველი პროკურორები ხელშეუხებლები ყოფილიყვნენ, ზოგიერთი - დაწინაურებული, წახალისებულიც.

**— ამბობენ, ნაცვლიშვილი ადეიშვილის სქემით მუშაობდაო. ხომ არ იცით, რაში გამოიხატებოდა ეს?**

– ადეიშვილს ჰქონდა შემუშავებული სქემა, როგორ უნდა გაკოტრებულიყო ბიზნესმენი. დაიბარებდნენ პროკურატურაში და დეტალურად უნდა ჩაებარებინა ანგარიში შემოსავლის წყაროების შესახებ. მოგეხსენებათ, „ნაციონალების“ დროს უამრავი ცვლილება განხორციელდა იგივე ბანკებთან მიმართებაში, ასევე

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საპატრიარქოს განცხადება მამა გაბრიელის საფლავთან დაკავშირებით



საპატრიარქო მამა გაბრიელის საფლავთან დაკავშირებულ მოვლენებზე განცხადებას ავრცელებს.

„ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, ვინც 7 იანვრამდე მცხეთაში მამა გაბრიელის საფლავს მოინახულებს და რაიმეს შესთხოვს, ყველაფერი აუსრულდება. ჯერ ერთი, ღვთის წინაშე მამა გაბრიელის მეოხება მლოცველთ 7 იანვრამდეც ექნებათ და 7 იანვრის შემდეგაც. მეორეც, არ შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდეს ის ნათქვამიც, თითქოს ყველას ყველა სურვილი აუსრულდება, რადგან ხორციელდება ის თხოვნები, რაც ღვთის სათნოა და, რაზეც უფლის ნებაა და არა ნებისმიერი ნატვრა. საერთოდ, დიდ დღესასწაულებზე ეკლესიაში განსაკუთრებული მადლი ტრიალებს და ამ დროს განსაკუთრებულად გულმხურვალედ უნდა ვევედროთ უფალს. შობის ბრწყინვალე ზეიმი დგება. დაე, იესო ქრისტეს წყალობა და ლოცვა-კურთხევა არასოდეს მოაკლდეს საქართველოს და თითოეულ ჩვენგანს“, – ნათქვამია განცხადებაში. შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, დედა პარასკევას გამოცხადება ჰქონდა, მან ბერი გაბრიელი ნახა, რომელმაც უთხრა, რომ ყველა იმ ადამიანს, რომელიც შობამდე მცხეთაში, მის საფლავთან მივა და რწმენით სთხოვს, სურვილი შეუსრულდება. (პირველი)

## კეზერაშვილის პროცესი 23 იანვარს იწყება



სასამართლო პროცესი საფრანგეთის სამხრეთით, ქალაქ ექს-ან-პროვანსის საოლქო-სააპელაციო სასამართლოში გაიმართება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საფრანგეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეკატერინე სირაძე-დელონე ადასტურებს.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ამ დრომდე მარსელის წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული. კეზერაშვილის საქმეს სასამართლოს საერთაშორისო განყოფილება განიხილავს.

16 იანვრამდე კი სასამართლოს ქართულმა მხარემ დავით კეზერაშვილის შესახებ ყველა ის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია უნდა გადაგზავნოს, რაც ფრანგულმა მხარემ მოითხოვა.

დავით კეზერაშვილის ინტერესებს სასამართლოში ადვოკატი მეტრ ლუკ ფებრარო და მეტრ აურელიენ ჰამელი დაიცავენ.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში ფრანგმა სამართალდამცველებმა 2013 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. (პირველი)

*მეხუთე გვერდიდან*

სამეწარმეო საქმიანობაში, რითაც სახელმწიფოს ყველა სახის ბიზნესის გაკონტროლების ბერკეტის გამოყენება გაუადვილდა. ეს საკანონმდებლო ბაზა სწორედ ამ მიზნით შეიცვალა. სწორედ ადეიშვილისა და ჩხატარაშვილის სქემის თანახმად, ნაცვლიშვილიც იბარებდა ბიზნესმენებს, აძლევდა მათ დავალებას, რომ უნდა შეესრულებინათ ხელისუფლების დაკვეთა რომელიმე პროექტის დაფინანსების შესახებ. „დიდ წინამორ-

– ახლავე მოგახსენებთ, როგორც კონფიდენციალურად მითხრეს, იყო ცალკეული ბიზნესები, სადაც ხუხაშვილისა და ნაცვლიშვილის ბიზნესინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, ამ შემთხვევაში ისინი თანამშრომლობდნენ. თუმცა იყო ცალკეული ბიზნესებიც, რომელსაც ინაწილებდნენ.

**— მაინც, რა ინფორმაცია გაქვთ, დაიჭირენ ნაცვლიშვილს?**

– ნაცვლიშვილი კარგი რეპუტაციით არასდროს სარგებლობდა, მის ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულებაზე პრესა საკმაოდ

**— ახლა რა სიტუაციაა, პროკურატურა მართლა თავისუფალია ზეწოლებისგან, როგორც ამას ხელისუფლება გვეუბნება?**

– არა, მაინც არ არის თავისუფალი. ისევ კონტროლდება იმ კადრების მიერ, რომელსაც „ნაციონალები" აკონტროლებენ. ყველა არაკვალიფიციური გამოძიება ამითაა განპირობებული, პროკურატურის არაეფექტურობას ეს მიზეზი აქვს და ხალხის პროტესტი მასზე ძლიერი ჯერ ვერ აღმოჩნდა.

**— ბატონო მამუკა, პირად საუბარში ერთი საინტერესო რამეც მითხარით,**

პირდაპირი კავშირი აქვს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსთან და მის ფილიალს წარმოადგენს. ის ბილდერბერდის კლუბს, სამასთა კომიტეტსა და ფედერალურ რეზერვს ემსახურება. ამერიკის მთავრობასაც კი არ ექვემდებარებიან, წარმოადგენენ ე.წ. ნეომუნდიალისტებს, მსოფლიო გლობალისტებს და მათი იდეოლოგია ა ნეოლიბერალიზმი. ეს



# ახალი ხელისუფლებაც „თავისუფლების ინსტიტუტთან" თანამშრომლობს?

ბედს", დავით ჩხატარაშვილს სწორედ ნაცვლიშვილი მფარველობდა, რადგან ამ გეგმის გამოყენება მისგან ისწავლა.

ეს ბიზნესმენები ახალი რეალობის წინაშე დადგნენ და მათ ნაცვლიშვილმა პირდაპირ უთხრა, ჩხატარაშვილის მიერ გაშიფრული ბიზნესები, სად რა პროცენტი რჩებოდათ, ამჯერად მათ ხელში უნდა გადასულიყო. ნაცვლიშვილი ბიზნესმენებს სთავაზობდა, რა გზით და როგორ უნდა წამოსულიყო შემოსავლები მისკენ და ხელისუფლების სხვა შტოებისკენ ისე, რომ ეს არავის გაეგო.

**— კი, მაგრამ ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი როგორ რიგდებოდნენ მერე ერთმანეთში. ხუხაშვილსაც იგივე ბრალდებას არ უყენებდნენ?**

საფუძვლიანად წერდა, აღარაფერს ვსაუბრობ იმაზე, რომ მის უკანონო გარიგებებს ბოლო არ უჩანდა. ხელისუფლება იძულებული გახდება, პასუხი აგებინოს ნაცვლიშვილს, რათა შეინარჩუნოს ავტორიტეტი და რეპუტაცია. ათასობით საჩივარი შეეხება ნაცვლიშვილს, ის უშუალოდ განაგებდა, ვისთან და რა რაოდენობით საპროცესო გარიგება გაფორმებულიყო, ამიტომ ამ საქმეებს ამოუქექავენ. საზოგადოებრივი აზრი აიძულებს ხელისუფლებას, ამ ყველაფერზე რეაგირება მოახდინოს. დარწმუნებული ვარ, ნაცვლიშვილს სხვა ბევრიც მიჰყვება, რადგან ჩიხში აღმოჩნდებიან. ადგილობრივი არჩევნებისთვის ყველა მეთოდი იქნება გამოყენებული ხელახალი ნდობის მოსაპოვებლად.



**ბოკერია-რამიშვილის მიერ შექმნილი უსაფრთხოების კონცეფციის გავლენა არ შეცვლილა ამ ერთი წლის განმავლობაში, რამაც ჯაშუშურ ქსელებს ხელ-ფეხი ლეგალურად გაუხსნა. შეგიძლიათ, დამიკონკრეტოთ, რას გულისხმობთ?**

არის პირდაპირ მესამე ქვეყნების მართვის ინსტრუმენტი. მილიარდერებს იყენებენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის.

**— რა**




– ნაკლებად მჯერა, რომ ირინა იმერლიშვილმა, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის არანაირი გამოცდილება არ აქვს, სათანადოდ განსაზღვროს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ხელისუფლების სტრატეგია. ფარულად ხდება ისევ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის წარმოება „ნაციონალური მოძრაობის" მიერ. ამის მიზეზი ისაა, რომ ახალ ხელისუფლებას არც სათანადო ინტელექტუალური რესურსი აქვს და არც გამოცდილება. ამიტომ ხელისუფლება იძულებულია, ძველი ხელისუფლების წევრები გამოიყენოს ამ მიმართულებით. „თავისუფლების ინსტიტუტის" ბაზასა და „ნაციონალების" აქტივისტებს იყენებენ ისევ. „თავისუფლების ინსტიტუტს" კი

**გამოდის, ისევ ბოკერიას გზით მივდივართ?**

– დიახ, სწორედ ასეა. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სამსახური გასაიდუმლოებული ორგანიზაციაა, რომელიც კოლოსალურ ფინანსებს ფლობს, რომელსაც იყენებს საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის. საქართველო მათ თუნდაც რუსეთის წინააღმდეგ გამოსაყენებელ სტრატეგიულ იარაღად სჭირდებათ. უზარმაზარ თანხას გამოყოფენ იმისთვის, რომ გაიგონ, რა ხდება ქვეყანაში ყველა მიმართულებით. ნებისმიერ თანამდებობაზე დასანიშნ პიროვნებას თავისებურად შიფრავენ, საზოგადოებრივ აზრს სწავლობენ მის შესახებ.

**— რა მიზნით?**

– ეს სააგენტო სადაზვერვო ქსელს წარმოადგენს. ამერიკას აქვს პრეტენზია, რომ მთელ მსოფლიოში აკონტროლოს სიტუაცია, ამ მიზნით ისინი არც თანხას იშურებენ. ქმნიან ფონდებს, რომლებიც აცხადებენ კონკურსებს გრანტების მოსაპოვებლად, ავალებენ სხვადასხვა სახის კვლევებს იმის გასაგებად, რომ გაიგონ, რით სუნთქავს ქვეყანა, ვინ არის ავტორიტეტი, რა პრიორიტეტი აქვთ ადამიანებს, სოციალურ პროექტებს სწავლობენ. ამიტომ იციან ამერიკაში, იმაზე უფრო უკეთ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე ჩვენ ვიცით ხანდახან. ეს ინფორმაცია მათ სჭირდებათ იმისთვის, რომ მერე მართვის სადავეები აიღონ. წახალისების მეთოდებით თანამდებობის პირები მათ საცეცებს წარმოადგენენ. ამ ორგანიზაციას ეყრდნობოდა ბოკერია-რამიშვილი და ეყრდნობა დღევანდელი ხელისუფლებაც. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სამსახური ასე უცებ ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას ვერ შეძლებდა, ამიტომ ნორლანდის მეშვეობით, მათ ისე იმუშავეს ახალ ხელისუფლებაზე არჩევნების წინ, რომ კონფიგურაციების ცვლილებაც არ მომხდარიყო. მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები მოხდა, მეტი არაფერი. სანდრა რულოვსი აცხადებს უკვე, რომ მიშა ახალი პრემიერი იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგივე ამერიკელი ლობისტები იზრუნებენ ამაზე. მათ ახალი გართულებები არ უნდათ, ძველ სახეებთან მუშაობა ურჩევნიათ.

»» ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა



შსს-ს ცნობით, 2013 წლის იანვარ-დეკემბრის ინტერვალში ქვეყანაში 5 365 356 ვიზიტი განხორციელდა, რაც 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს 21,2%-ით აღემატება.

შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი 2 080 808 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 16,3 %);

ბ) ტრანზიტი – 1 167 570 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 22%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 54,6%);

გ) სხვა – 2 116 978 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 12,4%).

შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ცნობით, 2013 წლის დეკემბერშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-25,8%), აზერბაიჯანიდან (+16,3%), სომხეთიდან (+26,8%), რუსეთიდან (+40,6%), უკრაინიდან (+69,7%) და ირანიდან (-33,8%) განხორციელდა. ასევე პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-დეკემბერშიც კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ პოლონეთი, ჩეხეთი, ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია და იტალია (შესაბამისად – 80%, 32%, 22%, 19%, 17% და 15%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (40%), ახლო აღმოსავლეთიდან – ისრაელი (29%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელორუსის მოქალაქეები 62%-იანი მატებით.

სახელმწიფო საზღვრის კვეთის მხრივ აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეთა აქტივობის ზრდაც, რაც 2013 წელს 17,1 (შემოსვლა) და 17,8 (გასვლა) პროცენტიან მატებაში გამოისახა. (პირველი)

## ქუთაისის №2 საპყრობილეში პატიმრები შიმშილობენ



ქუთაისის ციხეში გარდაცვლილი 16 წლის გოგა ძველაიას ადვოკატის თქმით, მსჯავრდადებულები აცხადებენ, რომ ისინი ერთ-ერთმა პატიმარმა პედოფილიაში უსაფუძვლოდ დაადანაშაულა და ამისთვის პასუხი უნდა აგოს. პატიმარმა ერეკლე გურბენიძემ რამდენიმე ხნის წინ გოგა ძველაიას ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან სურვილი გამოთქვა და განაცხადა, რომ მან არასრულწლოვანი პატიმრის გარდაცვალების რეალური მიზეზი იცოდა. გურბენიძის განცხადებით, გოგი ძველაიამ თავი იმიტომ მოიკლა, რომ ის საკანში პედოფილებთან ერთად იხდიდა სასჯელს.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის საპყრობილეში გარდაცვლილი გოგა ძველაიას მამამ 30 დეკემბერს პარლამენტთან შიმშილობა დაიწყო, ის ერეკლე გურბენიძესთან შეხვედრას ითხოვდა და აცხადებდა, რომ გურბენიძემ მისი შვილის გარდაცვალების რეალური მიზეზი იცოდა. გურბენიძესთან შეხვედრის შემდეგ ძველაიას მამამ შიმშილობა შეწყვიტა. (პირველი)


თამარ შოთაძე

ბასთან, 2010-2012 წლებში წართმეული ქონებასთან, იმედგაცრუებულ და საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩენილ მენაშენეებთან და ა.შ მრავალი პრობლემა იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერის არარსებობის გამოც გადაუჭრელი დარჩა.

**— წართმეული ქონებების დაბრუნებას რა აფერხებდა?**

– იუსტიციის სამინისტროს ამ ერთი წლის განმავლობაში არაერთი მოქალაქე მიმართავდა წინა ხელისუფლების პირობებში იძულებით ჩამორთმეული და სახელმწიფოსგან მიტაცებული ქონების დაბრუნების მოთხოვნით. ერთი საქმეც კი იუსტიციის სამინისტროს მიერ არ ყოფილა განხილული და მოქალაქის სასარგებლოდ გადაწყვეტილი, არადა წულუკიანი ყველას ჰპირდებოდა სამართლიანობის აღდგენას... წარმომადგენლობისა და სამართალშემოქმედების მიმართულებას. ვიყავი ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოსა და სხვა მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. ჩემი კომპეტენცია, უბრალოდ, უხერხულია, ეჭვქვეშ დააყენოს იურიდიული განათლების არმქონე თეა წულუკიანმა, რომლის პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის საკითხი დღემდე უცნობია საზოგადოებისთვის.

**— საჯარო რეესტრის უფროსის მიმართაც გაქვთ პრეტენზიები. რას ერჩით პაპუნა უგრეხელიძეს?**

– პაპუნა უგრეხელიძე გახლავთ მინდია უგრეხელიძის შვილი. ხელისუფლებაში მოსვლით ბატონმა მინდიამ თავისი ოჯახის წევრების დასაქმებაზე სერიოზულად იზრუნა, მისი უშუალო ჩარევითა და დაინტერესებით დაინიშნა მისი ვაჟიშვილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ამ სისტემაში წლების განმავლობაში მუშაობენ და არავისზე ნაკლები პროფესიონალები არ არიან, მაგრამ ვერ აღწევენ ასეთ წარმატებას. მოსვლის დღიდან პაპუნა უგრეხელიძემ მიზანმიმართულად დაიწყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პროფესიონალი კადრების განდევნა, მათ შორის ჩემი განთავისუფლების ბრძანება 2014 წლის 1-ელ იანვარს გამოსცა. პაპუნა უგრეხელიძის მართვის მეთოდი კონფლიქტების გაღვივება და ლანძღვა-გინებაა, საჯარო რეესტრში ყველა სამსახურის უფროსი შეზღუდულია, დამოუკიდებლად მიიღოს თუნდაც უმნიშვნელო საკითხზე გადაწყვეტილება, მოითხოვს, რომ ყველა ქონებრივი მნიშვნელობის საკითხი მასთან იყოს შეთანხმებული. ხელმძღვანელი პირი, რომელიც იქცევა არაადეკვატურად, შეურაცხყოფას აყენებს თანამშრომლებს, არ იცის, ვის როგორ მიმართოს... პაპუნას ახასიათებს ცინიზმი, მამამისი ჩვენი რექტორი იყო და როგორც ჩანს, ახასიათებს მემკვიდრეობით. დასცინის თანამშრომლებს. ცინიკოსთან ერთად კონფლიქტურიცაა, სჭირს განდიდების მანია...

**— თეა წულუკიანს დავუბრუნდეთ...**

– საზოგადოებისთვის ცნობილია თეა წულუკიანის სიმპათიები წინა ხელისუფლების მიმართ, პრაქტიკულად მან იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან ერთად, რომელიც ჯერ კიდევ ადეიშვილის მეთოდებით მუშაობს, დაიწყო ღირსეული და პროფესიონალი თანამშრომლების დევნა. ცნობილია მისი კავშირი მინდია უგრეხელიძესთან, ის წლების განმავლობაში მუშაობდა მინდია უგრეხელიძის თანაშემწედ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში თეა წულუკიანს არავინ იცნობდა, მან ეს საჩუქარი დაუმსახურებლად მიიღო და ასეთივე მადლიერებით გადაუხადა მინდია უგრეხელიძეს, როცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარედ მისი შვილი დანიშნა. საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის უფროსის ვაკან-

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

# ახალი ბრალდებები
# თეა წულუკიანის წინააღმდეგ

**რაში ამხელს იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს მისივე დანიშნული კადრი და რატომ გაწირა ყველა „თავისიანი" თეა წულუკიანმა? რა შეთანხმება ჰქონდათ მინისტრსა და მინდია უგრეხელიძეს სტრასბურგის საქმეებთან დაკავშირებით? რატომ არ იძვრის ადგილიდან იპოთეკარებისა და ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი?**

**ამ საკითხებზე „ალიას" საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის უფროსი, სამართლის დოქტორი თამარ შოთაძე ესაუბრა:**

**— ქალბატონო თამარ, პირად საუბარში მითხარით, წულუკიანმა საჯარო რეესტრი გაუგებარი წარსულის მქონე ადამიანებით გაავსოო. კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– ვინც დაინტერესდება, გამოითხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯარო ინფორმაცია 2013 წლის დასაწყისიდან ხელმძღვანელ თანამდებობებზე რა კომპეტენციის ადამიანები დაინიშნენ, რა კავშირი, ან გამოცდილება აკავშირებთ ამ სისტემასთან, სადაც თეა წულუკიანის წყალობით მოხვდნენ.

**— როგორც ვიცი, თქვენც ახალი კადრი ხართ...**

– მე საჯარო რეესტრში იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დავინიშნე 2013 წლის 12 თებერვლიდან ეკატერინე კერესელიძის თავმჯდომარეობის დროს. საჯარო რეესტრის ახალ ხელმძღვანელს შევთავაზე ჩემი კანდიდატურა, ვინაიდან მქონდა ამ სისტემაში მუშაობის გამოცდილება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების განმავლობაში ვასწავლი კერძო სამართლის დარგის სხვადასხვა სასწავლო კურსებს, მათ შორის სანივთო სამართალს, მაქვს იპოთეკის ინსტიტუტზე დაცული სადოქტორო დისერტაცია, რეგისტრაციის საკითხებზე გამოქვეყნებული მაქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მქონდა უამრავი ნოვატორული იდეა, რომლის განხორციელებასაც ვაპირებდი. სამწუხაროდ, სისტემაში არაკომპეტენტური ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიზეზით განუხორციელებელია ყველა ახალი ინიციატივა. იურიდიულ სამსახურში თავს იყრიდა უამრავი პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო საკუთრების უფლების აღდგენას.

**— ამბობთ, რომ საკმაოდ გამოცდილი კადრი ხართ, მე კი მითხრეს, რომ კომპეტენციის პრობლემა გქონდათ, რის გამოც წულუკიანმა რამდენიმე საყვედურიც გამოგიცხადათ, ასეა?**

– მე ვასრულებდი საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობას, ვიყავი საჯარო რეესტრის სპიკერი, საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, მე ვხელმძღვანელობდი საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების, სასამართლო



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ოთხი და მეტშვილიანი ოჯახები პატრიარქის სიგელით დაჯილდოვდებიან

ილია მეორის თქმით, მართლმადიდებლური ეკლესია ითვალისწინებს იმ ადამიანების დამსახურებას, რომელთაც ეკონომიურად მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, 4 და მეტი შვილი იყოლიეს.

„მრავალშვილიანობა უდიდესი სიკეთეა. რომელი წარმავალი სიმდიდრე შეედრება დედმამიშვილების გვერდზე დგომასა და სიყვარულს, რაც ასე სჭირდება ადამიანს ჩვენს მეტად რთულ დროში. თვითონ მშობლებიც უდიდეს ენერგიას იღებენ მათგან, რადგან თითოეული შვილი ცალკე აღებული საოცარი სამყაროა. მრავალშვილიანობა იმითაც არის ფრიად სასურველი, რომ ბავშვი პატარაობიდანვე სწავლობს ეგოიზმის დაძლევას, სხვაზე მზრუნველობასა და მშობლებისგან მომდინარე სიყვარულის სხვისთვის განაწილებას. ვისაც სამი და მეტი ბავშვი ჰყავს, კარგად იცის, ხშირად როგორ უჭირს პირველ შვილს ახლად დაბადებულ მეორე ჩვილთან შეგუება და სულ ეძებს დროს, რაიმეთი ავნოს მას; მესამე პატარის შემატებას პირველი უფრო ადვილად იტანს, მეორე კი უფრო მეტად განიცდის, მაგრამ ისე არა, როგორც პირველ შვილს უმძიმდა თავიდან, მეოთხე ბავშვის დაბადება უკვე აწონასწორებს ყველაფერს და ა.შ. ანუ შვილთა სიმრავლე მათი სწორად აღზრდის ერთ-ერთი გარანტიაა, რადგან ასეთ გარემოში მე-ზე ორიენტირებული სულისკვეთება სიყვარულის გამრავლებითა და გაცემით იცვლება და თუ ამას სწორი აღზრდაც დაემატა, მივიღებთ იმ მდგომარეობას, რაზეც ბიბლია ბრძანებს: ქალი შვილთა სიმრავლით ცხონდებაო. ამ საქმეში მთავარი როლი და პასუხისმგებლობა დედას ეკისრება. მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ხშირად ფსევდოკულტურითა და ცრუ თავისუფლებით არიან გატაცებულნი, როდესაც დედები ხდებიან, მათში სხვა გრძნობები ილვიძებს სხვა აზროვნება უყალიბდებათ, რადგან სწორედ ისინი ხდებიან სიყვარულით მსახურების მთავარი მოქმედნი და ეს იწვევს სწორედ შინაგან ფერიცვალებას", – ნათქვამია ეპისტოლეში.

პატრიარქის თქმით, მეუღლეებმა, რომელთაც საკუთარი შვილი არ ჰყავთ, ეს ტრაგედიად არ უნდა მიიჩნიონ;

„მთავარია, მათი ერთად ცხოვრება სასუფევლის დამკვიდრებისთვის მომზადებად იქცეს. სასურველია ბავშვის აყვანაც. ეს დიდი მადლია და ამ შემთხვევაში მათ ეკლესიაში საგანგებო ლოცვა ეკითხებათ", – ნათქვამია პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში. (პირველი)

## თურქეთში გარდაცვლილები სამშობლოში გადმოასვენეს



თურქეთში გარდაცვლილი საქართველოს ხუთი მოქალაქე სამშობლოში გადმოასვენეს. სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტამდე გარდაცვლილების ტრანსპორტირება თურქეთში საქართველოს საკონსულომ უზრუნველყო, საკუთარ სახლებამდე კი ისინი მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი რეანიმობილებით გადაასვენეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქართველების მოწამვლა კუსტარულად დამზადებულმა ალკოჰოლურმა სასმელმა გამოიწვია. ალკოჰოლით სულ საქართველოს 7 მოქალაქე მოიწამლა, რომელთაგან 5 დაიღუპა, ხოლო 2 საავადმყოფოშია გადაყვანილი. (ინტერპრესნიუსი)

*მეშვიდე გვერდიდან*

სიაზე კონკურსი სექტემბერში გამოცხადდა და ის დასრულდა 31 მოც(ი) და დამინიშნეს ტესტირება. ერთ დღეს, 30 დეკემბერს ჩამიტარ- და ტესტირება, გასაუბრება, მთელი დღის განმავლობაში ვიმყოფებოდი ნებოდნენ მაღალ თანამდებობებზე, მიუხედავად მათი წარმომავლობისა.

**— ჯანდაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს საჯარო რეესტრის თანამ-** მხმარებლები, როგორ ხდება, რომ ადამიანი არის წამალზე დამოკიდე- ბული და ცნობას იღებს, რომ არ არის. ეს რისი ბრალია?

საზრება არ ყოფილა გათვალ- ისწინებული. მახსენდება თეა წუ- ლუკიანის შეხვედრა საჯარო რეეს- ტრის თანამშრომლებთან, ქალმა

# ახალი ბრალდებები თეა წულუკიანის წინააღმდეგ

დეკემბერს, იმით, რომ ჩაშლილად გამოცხადდა. კონკურსი ჩატარდა კანონის უხეში დარღვევებით. პრაქ- ტიკულად მე ორი დღით ადრე, 27 დეკემბერს შემატყობინეს (მათ იცოდნენ, რომ მქონდა მამის ორ- დაძაბულ რეჟიმში და იმავე დღეს გამათავისუფლეს სამსახურიდან. რა თქმა უნდა, ყველა ეს დარღვევა კანონის სრული დაცვით გასა- ჩივრდება სასამართლოში. ასეთი მორალის ადამიანები არ უნდა ინიშ-

**შრომლების შემოწმების თხოვნით მი- მართეთ. რატომ?**

– არაერთი შემთხვევაა, როდესაც სახელისუფლებო სტრუქტურებში ხვდებიან ადამიანები, რომლებიც მოიხმარენ ან წარსულში იყვნენ ფსიქოტროპული საშუალებების მო-



**— თქვენ მიამბობდით, რომ იუსტიციის სამინის- ტროში სამოქალაქო კოდექსში იპოთეკის ცვ- ლილებებთან დაკავშირე- ბით გამართულ შეხვე- დრაზე მინისტრი გამოვ- იდა სიტყვით, სადაც მისი არაკომპეტენტურობა გამოჩნდა. შეგიძლიათ, მიამბოთ ამ შეხვედრის შესახებ?**



– დიახ, ის გამოვიდა სიტყვით და კიდევ ერთხელ დაადასტურა, როგორ არ იცის, რომ კონტინენ- ტური ევროპის სამართლის ოჯახში გერმანული და რომანული კერძო სა- მართალი სრულიად განსხვავებულ პრინციპებს ეფუძნება. ამბობს: სა- ფრანგეთში ასეაო, მოვალე რომ და- ჯდება და თავისი ხელით გადაწერს კონტრაქტს, უფრო კარგად გაერკვე- ვა თავის უფლებებშიო. იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა სამოქალაქო სამართლის განვითარების კომისია. მიმართულების მიხედვით მოხდა ჯგუფების შექმნა, მე, როგორც იუ- რიდიული სამსახურის უფროსი, ვმონაწილეობდი აღნიშნულ ჯგუფში, ვინაიდან დაცული მაქვს სადოქ- ტორო დისერტაცია იპოთეკის ინ- სტიტუტზე. მოგეხსენებათ, იპოთეკა საბანკო სექტორისა და სხვადასხვა ფინანსური ჯგუფების მნიშვნელო- ვანი ინტერესის სფეროს წარმოად- გენს, პრაქტიკულად მომზადდა ისე- თი საკანონმდებლო ცვლილება, სა- დაც არც ერთი დარგის სპეციალის- ტის, პრაქტიკოსის ინტერესი და მო-

ენით გაგვლახა, ზოგს დაგვცინა, ზოგს შეურაცხ- ყოფა მიაყენა, ვითომ ჩვენ კი არ მოვიყვანეთ ხე- ლისუფლებაში, მინდია ბი- ძიამ უფეშქაშა თანამდებო- ბა, ბოლოს გვითხრა, თუ ჭკვიანად არ მოიქცევით, ჩემი ძმა უმუშევარიაო...

ყველა ის ადამიანი, რიგითი მო- ქალაქე და ამომრჩეველი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს, დამემოწმება, რომ ეს იყო მხარდაჭ- ერა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მი- მართ. რა თქმა უნდა, თეა წულუკი- ანი, რომელიც არ იყო ცნობილი არავისთვის, ვერ მოხვდებოდა სახ- ელისუფლებო მაღალ თანამდებობა- ზე, რომ არა, ალბათ, ბატონი მინდია უგრეხელიძის რეკომენდაცია. სა- მართლიანობის აღდგენის საქმეში იუსტიციის სამინისტროს უნდა შეეს- რულებინა უმნიშვნელოვანესი როლი, მაგრამ ყველა მოლოდინი და პროექ- ტი, სამწუხაროდ, კრახით დასრულ- და.

**„ალია“ ბრალდებებთან დაკავშირე- ბით მინდია უგრეხელიძესთან დაკავ- შირებასაც ეცადა, მაგრამ მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, მან არც ჩვენს ზარებს უპასუხა და არც „მესიჯებს“.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მანდატურის სამსახური რეფორმირებას იწყებს



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მანდატურის სამსახურის რეფორმირებას იწ- ყებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიურ სამსახურად გარდაიქმნება, სკოლის მანდატურები კი, ბავშვთა დაცვის ოფიცრები ხდებიან. ამასთანავე, იცვლება ბავშვთა დაცვის ოფიცრის ასაკობრივი ზღვარი, თუ მანდატურად პირის დანიშვნა 20 წლის ასაკიდან იყო შესაძლებელი, ბავშვთა დაცვის ოფიცრები 23 წლის ასაკიდან დაინიშნებიან.

საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, მანდატურებისგან განსხვავებით, ბავშვთა დაცვის ოფიცრების ფუნქციები და უფლებამოსილება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კონტროლით, სკოლებ- ში წესრიგის უზრუნველყოფითა და სამართალდარღვევათა აღკვეთით არ შემოიფარგლება. სამსახურს ემატე- ბა ისეთი ფუნქციის შესრულება, როგორიცაა ფსიქო-სოციალური მომსახურების გაწევა (ფსიქოკორექცია, ფსიქოთერაპია, პრევენცია და რესოციალიზაცია). მის ფუნქციაში შევა მოსწავლისთვის პროფესიული არჩე- ვანის გაკეთებასა და კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობა, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი (ფსიქოლოგიური ან სოციალური) საქმიანობის განხორციელება, ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება და საექსპერტო დასკვნის გაცემა.

თავის მხრივ, იზრდება ბავშვთა დაცვის ოფიცრების უფლება-მოვალეობები და მათ ფუნქციებში დამატებით განისაზღვრება ფსიქო-სოციალური პრობ- ლემის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება და ამ დაკვირვების საფუძველზე შუამდგომ- ლობის გაწევა ასეთი მოსწავლის ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიური სამსახურის ფსიქოლოგებთან გადამისამართების თაობაზე. ასევე მათ ფუნქციას ემატება ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე პირების მშობლებთან შეხვედრაში მონაწილეობის მიღება.

პარლამენტის ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით, ფსიქო-სოციალური პრობლემის მქონე სუბიექტის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების მიზნით. ამგვარი ინფორმაციის არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება კანონმდებლობით დადგენილი წესით დაისჯება.

კანონპროექტის გათვალისწინებით, ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიურმა სამსახურმა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა 2017 წლის 1-ელ იანვრამდე უნდა უზრუნველყოს. (ინტერპრესნიუსი)

## კალაძე საკადრო ცვლილებებს გამორიცხავს




როგორც ვიცე-პრემიერმა განაცხადა, პრე- მიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბ- აშვილი ახალ მთავარ პროკურორს უახლოეს პერიოდში წარად- გენს.

„უახლოეს მომავალში პრემიერი გაა- კეთებს წარდგენას და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება, ვინ იქნება მთავარი პროკურორი. არანაირი საკადრო ცვლილე- ბები არ იგეგმება“, – განაცხადა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ ოთარ ფარცხალაძემ თანამდებობა გასული წლის 30 დეკემბერს დატოვა. ის მთავარი პროკურორის პოსტზე 40 დღის განმავლობაში მუშაობდა. (პირველი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# არასაპარლამენტო პარტიები კოალიციას ქმნიან

მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა და შემდეგ ისევ გაუჩინარდა, არასაპარლამენტო პარტიებმა ნორმალურად ველარ ამოისუნთქეს. მათ პერიოდულად კი ეძახიან ქუთაისში, ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომებზე, მაგრამ, როგორც „ტრადიციონალისტების“ ლიდერი, აკაკი ასათიანი ამბობს, დღემდე ვერ დაიდო ერთიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის განხორციელების შედეგადაც არასაპარლამენტო ოპოზიცია „ნაციონალებს“ ჩააჩოჩებდა.

„ალიას“ აკაკი ასათიანი ესაუბრა:

**— ბატონო აკაკი, თქვენ გამოცდილი კაცი ხართ, მაგრამ მაინც ვერ მოხვდით ივანიშვილის გარემოცვაში...**

– როცა მეორე პირი ვიყავი, ეს გამოცდილება რომ მქონოდა, სულ სხვანაირად მოვიქცეოდი. გამოცდილება დიდ რამეს ნიშნავს, 38 წლის ასაკში ხასიათი კი მშვიდი მქონდა, მაგრამ ადამიანების ამოცნობა სხვა



**ლამენტო პარტიებს რაიმე სახის სტრატეგია გაქვთ? როდესაც ინტერფრაქციულ ჯგუფში მიდიხართ, ხომ უნდა გქონდეთ ჩამოყალიბებული გეგმა, რომ საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებს კონკრეტულად ელაპარაკოთ?**

– სამწუხაროდ, ასეთი პრო- უკეთესი იქნება. არადა, ისე ხდება ხოლმე, რომ 12-15 რაღაც ჩამოითვლება და ხელისუფლება მონდომებულიც სიხარულიდან. დამთავრდა, ხელისუფლება ხარ, შენ აგებ ყველაფერზე პასუხს, ერთი წელიწადი დიდი დროა. ბევრი რამ გაკეთდა, კი, ბატონო, მაგრამ ახლა ძირეული ცვლილებებია საჭირო. თავის დროზე სააკაშვილზე რომ ვთქვი, ქვეყანას დააქცევს-მეთქი, მეჩხუბებოდნენ, ვაცალოთ, ისწავლის, გაიზრდებაო. აჰა, მერე ლამის მთელი თბილისი ქუჩაში გამოვარდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, სიტუაცია რაში გადაიზრდებოდა, არავინ იცის... კიდევ ვერ ვაცნობიერებთ, რას გადავრჩით. რაკი ახალ ხელისუფლებას ეს პრობლემა არ აქვს, იმას არ ნიშნავს, სააკაშვილის წარსული არ გაითვალისწინონ. ახლა ამათ უნდა დაგვიმტკიცონ, რომ უკეთესები არიან და იციან, რასაც აკეთებენ. ჩვენ უახლოეს ხანში ჩამოვაყალიბებთ არასაპარლამენტო პარტიების კოალიციას და დადგება წინადადებების შეთავაზების დრო. ჩვენ „ნაცებივით“ კრიჭაში არ ჩავუდგებით... მე მგონი, სირცხვილი არ არის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, ეს არ არის იმ ტიპის ხელისუფლება, ვინმეს სირცხვილით ხელი არ ჩამოართვა. თუ „ნაცები“ მიხვდებიან, რომ კრიჭაში ჩადგომიდან სხვა პოზიციაში უნდა გადავიდნენ, კარგი იქნება, თუ არა და მაშინ პასუხი უნდა გაეცეს ყველას.

**— რა სხვა პოზიციაში უნდა გადავიდნენ?**

– მინიმუმ, ბოდიში მოიხადონ და საერთოდ დადუმდნენ.

**— კაი, კაცო, ეგენი შეტევისთვის ემზადებიან, სააკაშვილის მეუღლეს ახლა უნდა, რომ მიშა გაპრემიერდეს და პრემიერ-მინისტრის ცოლი იყოს. ცოტა ხანში „ნაცები“ შექმნიან ახალ არასამთავრობოებს და დაიწყებენ ბრძოლას „კმარას“ სტილში.**

– კი, ასე იზამენ... „ნაციონალები“ თავიანთივე აპრობირებულ მერამეა, ხომ იცი, ვინ არიან და რა არიან?

**— ერთი ეს მითხარით, არასაპარ-**



„როცა ქვეყანა კორუფციაში იყო ჩართული, მაშინ არ წაულია ერთი ლარიც კი. არ ვიცი, რა მოხდა რეზოსთან დაკავშირებით, შეიძლება შიდა კოალიციური ბრძოლები იყო და ამის შედეგია“

გრამა არ არსებობს... სამართლიანი შენიშვნაა. ყველაფერი რომ დავიყვანოთ სამ გასაგებ მოთხოვნამდე, რომ იყოს, არჩევანის გაკეთება უჭირს. უნდა იყოს ცოტა და კონკრეტული მოთხოვნები. რაღაც მზაობა ხელისუფლების მხრიდან არის, მაგრამ არასაპარლამენტო ოპოზიცია თვითონ არ არის ჩამოყალიბებული.

**— არასაპარლამენტო ოპოზიცია იმაშიც ტყუის, რომ მთელი სატელევიზიო სივრცე დაიპყრო „ნაცმოძრაობამ“, ამ დროს კოალიცია ინერტულია, სად ხართ თქვენ, ანუ სად არის თქვენი ადგილი?**

– ალბათ, ეს კოალიციაში ვიღაცას აწყობს, ზოგი ფიქრობს, რომ „ნაციონალებზე“ უკეთეს მოწინააღმდეგეს ვერ იპოვის. მოსახლეობა რომ „ოცნების“ მიმართ ჯერ კიდევ კეთილგანწყობილია, ხელისუფლება ამის იმედად არ უნდა იყოს და მუდმივად თავის მართლების რეჟიმში არ იმუშაოს.

**— მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობას“ მხოლოდ ორი ქალი ებრძვის — ეკა ბესელია და მანანა კობახიძე... დანარჩენები სეირს უყურებენ.**

– ესენი ვერ გამოვიდნენ ეიფორიიდან, გამარჯვების



თოდებში ჩარჩებიან. იმედი მაქვს, რომ ღარიბაშვილის მთავრობამ ამის შესახებ იცის. ამ ყველაფერს იგივე მეთოდით ვერ უპასუხებ, დაჭერები და რეპრესიები გამორიცხულია... დაუსრულებლად კინკლაობის რეჟიმში ყოფნაც არ გამოვა, ამათ ყველაფერს უნდა უპასუხონ სერიოზული საქმეებით.

**— თქვენ ამბობთ, კოალიციის ჩამოყალიბებას ვაპირებთო, ეს რაღაც ახალია.**

– სიმართლე გითხრათ, ამ მხრივ, არასაპარლამენტო პარტიები ჯერ ჩამოყალიბებული არ არიან, ეს არის სურვილის დონეზე. ალბათ, ნინო ბურჯანაძე ადგილობრივ არჩევნებში ცალკე წავა, ასევე, შალვა

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენს საზმაუს საბჭოში ლელა გაფრინდაშვილი სურს




საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობაზე კვლავ ლელა გაფრინდაშვილის კანდიდატურას სთავაზობს. უჩა ნანუაშვილის განცხადებით, მან წინა განხილვაზე საპარლამენტო საკონკურსო კომისიას ორი კანდიდატურა წარუდგინა – მარინა მუსხელიშვილი და ლელა გაფრინდაშვილი, კომისიამ მუსხელიშვილის კანდიდატურა დაამტკიცა, ხოლო გაფრინდაშვილის – არა, რის შემდეგაც, სახალხო დამცველს თავიდან უნდა წარედგინა კანდიდატურა.

„მე ორი შესაძლებლობა მქონდა, ლელა გაფრინდაშვილის ნაცვლად სხვა კანდიდატი ამერჩია ან ისევ ლელა გაფრინდაშვილი დამეტოვებინა. ბევრი კანდიდატურა იყო ჩემ მიმართ შემოთავაზებული, თუმცა, კონსულტაციების შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება ლელა გაფრინდაშვილზე. ჩვენ ვერ მოვისმინეთ არგუმენტი, თავის დროზე, რის საფუძველზე ეთქვა მას უარი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პარლამენტმა კიდევ ერთხელ იმსჯელოს ამ კანდიდატურის შესახებ და ამიტომ პარლამენტს კვლავ შევთავაზეთ ეს კანდიდატურა. იმედი მაქვს, საქართველოს პარლამენტი გაიზიარებს იმ გეგმებსა და გამოცდილებას, რომელიც ლელა გაფრინდაშვილს აქვს“, – განაცხადა ნანუაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## უგულავა პატრიარქის ეპისტოლეს ეხმაურება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს გიგი უგულავა ეხმაურება. როგორც უგულავა აცხადებს, ეპისტოლე შვილის ყოლის უფლებას ვერც ერთ ვერ ოჯახს წაართმევს, რადგან ეს მაცხოვრის წყალობაა.

„ბეთლემი, სადაც მაცხოვარი იშვა, ასევე ნაზარეთი – სადაც აღიზარდა ძველ იუდეაში ყველაზე მიუვალი, თანამედროვე ჟარგონი რომ მოვიშველიოთ, ყველაზე „ბანძი“ ადგილები იყო. ისეთი, რომ სახარებაში ერთ-ერთი ფარისეველი ამბობს, – „ნუთუ შესაძლებელ არს ნაზარეთით რაიმე კეთილისა ყოფაი“. ეს ყველაფერი ნიშანია იმისა, რომ მაცხოვრისთვის მნიშვნელობა არ აქვს დროს, სივრცესა და ამქვეყნიურ შეზღუდვებს. ის, რომ ადამიანს დღეს აქვს საშუალება, იყოლიოს შვილი, ეს სწორედ ბეთლემში დაბადებული ღვთის წყალობაა. მაპატიეთ, მაგრამ ვერანაირი ეპისტოლე ადამიანს, ოჯახს, ვერ წაართმევს მაცხოვრის ამ წყალობას...“ – აცხადებს გიგი უგულავა. (ინტერპრესნიუსი)

# არასაპარლამენტო პარტიები კოალიციას ქმნიან

*მეცხრე გვერდიდან*

ნათელაშვილიც. „ქრისტიან-დემოკრატებში“ რაღაც გადაწყვეტილებას ელოდებიან. ისინი ფიქრობენ იმაზე, რა პოლიტიკური სიტუაცია იქნება უახლოეს ხანში. მე პირადად მგონია, რომ იმდენად ცოტა დროა დარჩენილი ადგილობრივ არჩევნებამდე, ფიქრის დროც აღარ არის. კუკავა და ბაღათურია ამბობენ, ჩამოვყალიბდებით და კი ბატონოო. „ტრადიციონალისტები“ და „სამართლიანი საქართველოსთვის“ უკვე გავერთიანდით, ბლოკი ჩამოვაყალიბეთ, ერთობლივად გამოვალთ არჩევნებში.

**— თქვენ რატომ ვერ მოხვდით ბიძინა ივანიშვილის არეალში მაშინ, როცა ის პოლიტიკაში მოვიდა? მით უმეტეს, იმ პერიოდში „ტრადიციონალისტები“ „ფორუმთან“ ერთად იყავით.**

– კი, როცა „ფორუმთან“ ერთად ვიყავით, მაშინ ბიძინა ივანიშვილს შევხვდით მე, კახა შარტავა და რეზო შავიშვილი. მე მანამდე ივანიშვილს არ ვიცნობდი, კარგი შეხვედრა შედგა, მაგრამ მერე მან პოლიტიკოსების სხვანაირი სპექტრი შეადგინა... როგორც ჩანს, ჩვენი ადგილი იქ აღარ იყო.




**„თუ „ნაცები“ მიხვდებიან, რომ კრიჭაში ჩადგომიდან სხვა პოზიციაში უნდა გადავიდნენ, კარგი იქნება, თუ არა და მაშინ პასუხი უნდა გაეცეს ყველას“**

**— შარტავა ჩაიძირა, რეზო შავიშვილიც ჩაიძირა.**

– კახამ თვითონ თქვა რაღაც თანამდებობებზე უარი. არადა, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო მთავრობაში. ასევე, უნდა ყოფილიყო რეზო შავიშვილიც, ის ძალიან მცოდნე და პატიოსანი კაცია. რეზო ისეთი კადრია, ნებისმიერ სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშნავ და გული გექნება საგულეს. როცა ქვეყანა კორუფციაში იყო ჩართული, მაშინ არ წაულია ერთი ლარიც კი. არ ვიცი, რა მოხდა რეზოსთან დაკავშირებით, შეიძლება შიდა კოალიციური ბრძოლები იყო და ამის შედეგია. ამ ერთი შეხვედრის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა აღარ გაგრძელებულა ივანიშვილთან. თუ მას რამე პრეტენზია ექნებოდა ჩვენთან, ამას საჯაროდ იტყოდა. ყოველ შემთხვევაში, მე პირადად არ მივძალებივარ და არც მისი მხრიდან ყოფილა სურვილი. მთავარი იყო იმის მოხდენა, რაც მოხდა და ყველაფერი გადასულიყო მშვიდობიანად. როდესაც კაცი ამხელა საქმეს აკეთებს, პირადი რაღაცებით ხელს ვერ შეუშლი. დღეს უკვე ახალი რეალობაა, ამ რეალობაში ყველამ უნდა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, დანარჩენი ხალხის გადასაწყვეტია, როგორ შეფასდება და რა იქნება. ჩვენ, არასაპარლამენტო პარტიებს, უნდა გვქონდეს ჩამოყალიბებული სტრატეგია, მაგრამ ეს არ უნდა გადაიზარდოს გაწევ-გამოწევაში... მე ვფიქრობ, რომ ახლა ძალიან პერსპექტიული ვითარებაა.



**„როცა „ფორუმთან“ ერთად ვიყავით, მაშინ ბიძინა ივანიშვილს შევხვდით მე, კახა შარტავა და რეზო შავიშვილი. კარგი შეხვედრა შედგა, მაგრამ მერე მან პოლიტიკოსების სხვანაირი სპექტრი შეადგინა... როგორც ჩანს, ჩვენი ადგილი იქ აღარ იყო“**





**— დღის წესრიგიდან მაინც არ არის მოხსნილი „ნაციონალების“ მობრუნების საკითხი... ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მოსახლეობაში შიში არსებობს. აგერ, ბურჯანაძემ თქვა, ეგენი იმაზე ადრე მობრუნდებიან, ვიდრე ჩვენ გვგონიაო... ხალხიც იჯერებს და აქ უკვე იწყება პესიმიზმი.**

– როდესაც ასეთ რაღაცებს იჯერებენ, ერთი რამე ავიწყდებათ: თუ იგივე მოსახლეობას არ უნდა, ესენი ვერ მობრუნდებიან. არსებობს არჩევნები და ნუ მისცემ ხმას. რა, შეთქმულებასა და გადატრიალებას მოაწყობენ? საამისოდ არც ძალა გააჩნიათ „ნაცებს“ და არც მხარდამჭერი... აბა, რანაირად მობრუნდებიან?

**— ბევრია კოალიციაზე განაწყენებული, ბევრმა იბრძოლა და ისე დარჩა.**

– საჭიროა ბიზნესის განვითარება... აგერ, თვითმმართველობების არჩევნები მოდის, მიიღე ისეთი კანონი, რომ ხალხი ჩაერთოს ამ საქმეში. დასავლეთ ევროპაში თვითმმართველობა არ არის თვითმიზანი, იქ ადამიანები ებმებიან სამეურნეო საქმიანობაში, იქიდან იზრდებიან პოლიტიკოსები. ჩვენი პოლიტიკოსების 99 პროცენტი სოფლის მამასახლისად რომ დააყენო, რას გააკეთებს, არავინ იცის. ვინ არიან ამერიკის პრეზიდენტები? ყოფილი გუბერნატორები. ჩვენთან პირიქით ხდება, არის ერთი ამბავი, ვის ჩაწერენ სიაში და ვინ მოხვდება პარლამენტში. თამარ მეფის დროს ჩვენ ევროპის დონეზე ვიყავით, დაცემა დაიწყო, როცა ევროპაში თვითმმართველობები გაჩნდა და ჩვენთან – არა. მე-12 საუკუნეში მეფეს ჰყავდა ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლის დანიშვნის უფლებაც კი არ დაიტოვა. შემდეგ ყველაფერი გაუქმდა და დაიწყო ჩვენი ჩამორჩენა.

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ექიმი-რეპროდუქტოლოგები პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს ეხმაურებიან



საქართველოს რეპროდუქტოლოგთა ფედერაციის პრეზიდენტის არჩილ ხომასურიძის განცხადებით, პატრიარქს კონსულტანტები ჰყავს, თუმცა ისინი ინ-ვიტრო განაყოფიერებასთან მიმართებაში ცდებიან.

„პატრიარქიც ადამიანია და მას კონსულტანტები ჰყავს, მათ შორის, სამედიცინო სფეროში და ძირითადად, კარგ კონსულტაციებს აძლევენ, მაგრამ ხანდახან ცდებიან ხოლმე, კერძოდ, ინ-ვიტრო განაყოფიერებასთან მიმართებაში. რაც შეეხება ინ-ვიტრო განაყოფიერებას, ეს მეთოდი ითვალისწინებს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ არაფერს ვაკეთებთ განსაკუთრებულს, მხოლოდ ვეხმარებით დედასა და მამას, რომ მათი უჯრედები ერთმანეთს შეხვდნენ“, – განაცხადა ხომასურიძემ.

ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკის დირექტორი ლიკა ჭყონია კი მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის დასაძლევად ყველა ხერხი უნდა იქნას გამოყენებული.

„ჩვენ მოგვმართავენ წყვილები, რომლებიც დიდი ხანია, ცდილობენ, გარკვეული კონსერვატიული მეთოდებით სასურველ შედეგს მიაღწიონ, მაგრამ არის ისეთი მდგომარეობები, რომლებმაც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია, რომ წარმატებას მიაღწიონ. ჩვენს ქვეყანაში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა, ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ ყველანაირი მიღწევა, რაც მსოფლიოში არსებობს, უნდა იყოს გამოყენებული“, – ამბობს ლიკა ჭყონია.

საშობაო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აბორტზე, ხელოვნურ განაყოფიერებასა და სუროგაციაზე ისაუბრა.

„მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ დღის წესრიგში ისეთი მძიმე ეთიკური საკითხები დააყენა, როგორიც მანამდე კაცობრიობას არ სმენოდა: ხელოვნური განაყოფიერება, სინჯარაში ჩასახული ბავშვები, სუროგატი დედები, გენების შერწყმა, კლონირება. განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და უსუსური პატარა არსებების ულვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან? და როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მილიონამდე აბორტი კეთდება და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის. შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება? ეს პატარა ხომ თავიდანვე გაწირეს უსიყვარულობისთვის, მიუსაფრობისა და მარტოობისთვის. იგი კეთილდღეობაშიც რომ გაიზარდოს, მუცლადყოფნის პერიოდის ამ სიმძიმეს ვერაფერი შეცვლის და ეს, აუცილებლად იჩენს თავს ზრდასრულ ასაკში. პრობლემატურნი იქნებიან ის ბავშვებიც, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ და მათი სიცოცხლე მრავალი ემბრიონის განადგურების შედეგად განვითარდა“, – ნათქვამია პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


**რა დირექტივები იგზავნება ევროკავშირიდან საქართველოს განათლების სისტემაში გასატარებლად? რა ითქვა პატრიარქის ეპისტოლეში განათლების შესახებ და როგორ ემზადებიან „ნაციონალები“ რევანშისთვის?**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი:**

– ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა „ალიაში“ გამოქვეყნებულ იმ მასალას, რაც შეეხებოდა ევროკავშირის მიერ სკოლებში შეტანილ პროექტს – „ერთად შევხვდეთ ევროპას“. მკითხველს შევახსენებ: ევროკავშირის წარმომადგენლებმა თქვენ რომ ერთი ამბავი ატეხეთ, ამას გამოეხმაურა პატრიარქი და ამაზე ფილიპ დიმიტროვმაც გააკეთა მერე კომენტარი, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, რომ სულაც არ არის საჭირო ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონება საქართველოში, ისეც შეიძლება კავშირში შესვლაო. ვსვამ კითხვას: რატომ არის მოსული ევროკავშირის დირექტივები, რომ კანონმდებლობაში შევიდეს სხვადასხვა ცვლილებები? შვილს რომ შეამჩნევ სექსუალურ გადახრებს, რომ არ უნდა უმკურნალო? ანდა სექსუალური სწავლება სკოლებში რომ არ უნდა შეიტანო ისეთი ფორმებით, რაც აბსოლუტურმარეობას.

— **ანუ, არამყარი ფსიქიკის ხალხის მიერ არის ეს ყველაფერი დაწერილი?**

– რა თქმა უნდა, ეს ისაა, რაც შეაქვთ დღეს სკოლებში, ან უნდათ, რომ შეიტანონ. ამიტომ კეთილი ინებონ და ეს დირექტივები ევროსაბჭომ უკან წაიღოს. აი, ამ შემთხვევაში იქნება დიმიტროვის განცხადება სარწმუნო.

— **საერთოდ, ისიც ითქვა, რომ სწორედ მაგ დიმიტროვის ხელი ერია პორნოლიტერატურის სკოლაში შეტანის საქმეში.**

– ეს არა, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ევროკავშირის დირექტივებია აბსოლუტურად ყველა საკითხში მოსული, მთლიანად განათლების სისტემაში. ასევე, არსებობს დირექტივები, ნატოში რომ მიგიღონ, რა უნდა გაკეთდეს სამართალდამცავ ორგანოებში და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, ციხეებში და ყველგან, ყველგან... კი, ბატონო, რაც მისაღებია, გაკეთდეს და რაც მიუღებელია, ის მოვიშოროთ! აი, ამაზე ალაპარაკდა ამ დღეებში ეკლესია.

— **ეკლესია დიდი ხანია ამაზე საუბრობს, მაგრამ ვინაა გამგები?**

– რამდენიმე დღის წინ საკვირაო ქადაგებაში გამოკვეთილად ითქვა პატრიარქის მიერ, რომ ახალ ხელისუფლებას, რომელიც წელიწადზე მეტია, მმართველობაშია, ხომ შეიძლებოდა, ეს კანონები, რაც დღემდე არსებობს, შეეცვალა? იმ კანონებს ვგულისხმობ, რაც უმაღლესის შირებით? მაშინ მეც ვმონაწილეობდი ამ საქმეში, როგორც ექსპერტი და უნდა გითხრათ, რომ ეს იყო შესანიშნავი დოკუმენტი. რატომ არ იღებენ მას? ამ დოკუმენტის მიხედვით ხომ შეიძლებოდა, უცებ მიღებული იყო კანონები და თანაც ერთ თვეში?

— **სად არის ახლა ეს ნაშრომები?**

– როგორ თუ სად არის, ამის საფუძველზე აირჩია ხალხმა ეს მთავრობა, შესანიშნავი პროგრამები რომ ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ და, მათ შორის, განათლებაში... ეს არის დიდი სამთავრობო დოკუმენტი და ამჟამად ის პარლამენტშია, მაგრამ არ იღებენ. უმაღლესი განათლების

# „ამაზე პატრიარქმაც ისაუბრა, მაგრამ ხელისუფლებას არაფრის გაგონება არ უნდა...“

## რა კანონის მიღებას ბლოკავს პარლამენტი?

სკოლებში ბავშვებისთვის შეიტანეს აღვირახსნილი სექსუალური სცენებით სავსე წიგნები და ამაში ჩართულები იყვნენ სტუდენტებიც. ად მიუღებელია? ხომ შეიძლება იგივე საკითხები მეცნიერულ დონეზე ასწავლო ბავშვებს, როგორც ვსწავლობდით ჩვენ და არა ასეთი გამხრწნელი ფორმებით? ამ ლიტერატურას ფსიქოლოგები აფასებენ, როგორც ადამიანის გიჟურ მდგო-



„სისტემაში არავითარი სამართლიანობის აღდგენა არ მომხდარა და არავინ დაუბრუნებიათ თავის ადგილზე, არც ერთი პედაგოგი, ამ დროს ათიათასობით ადამიანია გაყრილი განათლების სხვადასხვა საფეხურებიდან, პროფესიონალები და არავინ აბრუნებს“

შესახებ გვაქვს და ასევე, ზოგადი განათლების შესახებ? არადა ეს კანონები, არ იცვლება! ამაზე მეტყვიან ხელისუფლების წარმომადგენლები, აიო, ჩვენ ვმუშაობთ უმაღლესი განათლების კანონებზე, რომელიც უახლოეს მომავალში შეიცვლებაო.

— **ახლა მუშაობენ? რატომ? „ქართული ოცნება“ რომ შეიქმნა, ექსპერტების ჯგუფმა ხომ დადო კონცეპტუალური საკითხების შესახებ დოკუმენტი?**

– მეც ეგ მაინტერესებს, რატომ დასჭირდა ერთი წელი და რამდენიმე თვე კანონების მიღებას? ამდენი ხანი ეს კანონები რატომ უნდა გაჩერებულიყო, მაშინ, როცა შესანიშნავი დოკუმენტები მივიღეთ ჩვენ როგორც განათლებასთან, ისე მეცნიერებასთან დაკავკანონზე თუ კომისია მუშაობს და წელიწად-ნახევრის შემდეგ გვექნება კანონი, ზოგადი განათლების კანონზე რატომ არავინ მუშაობს და არც პროფესიული განათლების კანონზე? იმ უმაღლესი განათლების კანონშიც, რა, აღზრდაზე არის რამე თქმული? ან აღზრდის სისტემაზე? რაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, ყველა მოვლენაში ვმონაწილეობდი და მქონდა სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან შეხება, ამაში საპატრიარქოც იყო ჩარეული და ყოველთვის ისმოდა კითხვა: რატომ არსად კანონში არ არის ნახსენები სიტყვა „აღზრდა“? „ნაცები“ ან არ პასუხობდნენ ამ კითხვას, ან სისულელეებს ამბობდნენ.

— **და ამის ნამდვილი მიზეზი რა არის?**

– ნამდვილი მიზეზი არის ის, რომ აი, ეს აღვირახსნილი სექსუალური ბოდვები უნდა შემოეტანათ სკოლებში და მომავალი თაობა დაეტოვებინათ აღზრდის გარეშე, რომ არ აღზრდილიყო ნორმალური ადამიანი. მარტო განათლებაა საქმე? ძირითადი დარტყმა ხომ ოჯახზე მოდის და ოჯახი, რასაც ვხედავთ, შესუსტდა

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### თავშესაფარში მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესებაზე იმსჯელეს



მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათშორისი კომისიის წევრებმა თავშესაფარში მცხოვრები პირების ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების გაწევის, აგრეთვე, მათთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საკითხები განიხილეს.

დღეისთვის, მიუსაფართა თავშესაფარში 210 ადამიანი ათევს ღამეს. მათთვის მზადდება ცხელი საკვები, მუშაობს სამედიცინო მომსახურების 24-საათიანი სამსახური, საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის ჩათვლით. თავშესაფარი მუდმივად სუფთავდება, ხდება კარვებისა და დამხმარე სათავსოების დეზინფექცირება.

კომისიის წევრებმა, ასევე, გამოზამთრების შემდეგ მიუსაფართა თავშესაფრის ახალ ტერიტორიაზე განთავსების შესახებ იმსჯელეს. ამ კუთხით რეკომენდაცია გაეწია კახეთის გზატკეცილზე, ორხევის დასახლებაში არსებულ ტერიტორიასა და ფონიჭალაში არსებულ ტერიტორიას. აღნიშნული ადგილები არის მარტივად მისადგომი და არ საჭიროებს მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, ხოლო ელექტროენერგიის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის წყაროზე დაერთება ადგილზევეა ხელმისაწვდომი, რაც მიუსაფართათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. გადაწყდა, რომ კომისიის წევრები ადგილზე მოინახულებენ ორივე ტერიტორიას და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ. (პირველი)

### 8 იანვარს თოვაა მოსალოდნელი



გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „2014 წლის 7 იანვრის დღის ბოლოდან საქართველოში, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან მოსალოდნელია ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება, რაც 8 იანვრის დღის მეორე ნახევრამდე დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში ნალექებს, ზღვის სანაპირო ზოლში წვიმის, კოლხეთის დაბლობზე უპირატესად თოვლჭყაპის, მთაში და მაღალ მთაში თოვლის სახით გამოიწვევს. სვანეთისა და აჭარის მთიან რეგიონებში, აგრეთვე, რიკოთის გადასასვლელზე შესაძლებელია დროგამოშვებით ძლიერი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში საშუალო ინტენსივობის თოვლი აღინიშნოს. 8 იანვრის დღის მეორე ნახევრიდან 11 იანვრის დღის ბოლომდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოიდარებს“, – ნათქვამია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (პირველი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

და მისი ფუნქცია, პრაქტიკულად, განულდა. ამას საპატრიარქოც ღიად აღნიშნავს და ამაზე საშობაო ქადაგებაში ისაუბრა პატრიარქმა. მაგრამ ახალ ხელისუფლებას არაფრის გაგონება არ უნდა! დღეს პედაგოგიკას და დიდაქტიკას ებრძვიან და საერთოდ, ეს საგანი აღარ ისწავლება უმაღლეს სასწავლებლებში და როგორ წარმოგიდგენიათ, რომ სტუდენტებმა, რომლებიც პედაგოგობას აპირებენ, ეს საგანი არ უნდა იცოდნენ? იგივე ასაკობრივი ფსიქოლოგია? რასაც ვუყურებ, ეს საგნები მთლიანად მიამსხვრ-მოამსხვრიეს და



**„ამათ რა ჰგონიათ, თვითონ რომ სხედან პარლამენტში და დადიან დამუქებული ჯიპებით, ჰგონიათ, რომ ხელისუფლების შეცვლით ხალხს იარები მოურჩა? ეს ხალხი ისევ ქუჩაში ყრია და ამას მიხედვა უნდა...“**

– ხოდა, ამას ვამბობ, პირველ რიგში, სწორედ პარტია უნდა შეხვდეს ხალხს და ისიც კი არ ვიცით საზოგადოებამ, ის 12 კაცი, პოლიტსაბჭოში რომ არის, მათში ფუნქციები როგორაა განაწილებული? ვის რა ევალება? რადგან მუჰამედი თუ არ მივა ხალხთან, მაშინ ეგება, ჩვენ მივიდეთ მათთან? ვის მივმართოთ, რომ არ ვიცით? მათ შორის ვის ეხება განათლების საკითხები? ერთ-ერთ ღონისძიებაზე ვნახე უმრავლესობის წევრები და იქ ვთქვი, ხალხს მოსწყდით-მეთქი.

**— და რა გიპასუხეს?**

– ასეთი შეგრძნება მათ არ აქვთ...

**— მაგას ჩვენც ვხედავთ და რა უნდა გაკეთდეს, უპირველეს ყოვლისა?**

უმძიმესი დანაშაული? და რატომ გამოცვალა ხალხმა ხელისუფლება, რომ სამართლიანობა აღდგენილიყო, ხომ? მარტო პირადი ქონება კი არა, სახელმწიფო ქონება რომ არის მიტაცებული, იმას არ უნდა დაბრუნება? ამის გამოსწორების უფლებას ვინ არ აძლევთ? რაც შეეხება კანონებს, კიდევ არის დრო, დაგვიძახონ ექსპერტებს და დავწერთ კანონპროექტს, თუ უფსკრულიდან ვართ ამოსასვლელები, ყველა გავაკეთებთ ჩვენს საქმეს ქვეყნისთვის, დავდებთ ამ კანონპროექტს და ყველაფერი დადგება თავის ადგილას, შეიცვლება სისტემა და მივიღებთ კარგ განათლებას, რადგანაც კანონპროექ-

# „ამაზე პატრიარქმაც ისაუბრა, მაგრამ ხელისუფლებას არაფრის გაგონება არ უნდა...“

გაანადგურეს, რათა სექსუალური რევოლუცია მოამწიფონ საქართველოში. უნდათ, ეს სრული მასშტაბით განავრცონ და სექსუალური უმცირესობების უფლებები დააკანონ, როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებშია და ჩვენს ტრადიციებთან აბსოლუტურად შეუთავსებელია.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ არიან პარლამენტში მიწვეული პროფესიონალი ექსპერტები და ამ საქმის მცოდნენი? რატომ ეძლევა მწვანე გზა საეჭვო „ენჯეოშნიკებს“, რომლებმაც საქმის არსი არ იციან და თავის მბრძანებლებთან მხოლოდ ქულების დაწერას ეჩქარიან?**

– გეთანხმებით, არც ექსპერტთა სიაშია მაინცდამაინც კვალიფიციური ხალხი შეყვანილი დარგების მიხედვით და მთლიანად პარლამენტი ხომ ისედაც მოწყვეტილია ხალხსა და პროფესიონალებს. არავინ ითვალისწინებს ხალხის წუხილს. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ჩვენს სისტემაში არავითარი სამართლიანობის აღდგენა არ მომხდარა და არავინ დაუბრუნებიათ თავის ადგილზე, არც ერთი პედაგოგი, ამ დროს ათიათასობით ადამიანია გაყრილი განათლების სხვადასხვა საფეხურებიდან, პროფესიონალები და არავინ აბრუნებს მათ და ასე როდემდე იყვნენ?

ასე პროცესები არ გაჩერდება! რასაც ვუყურებ, კატასტროფულად უვარდება რეიტინგი „ქართულ ოცნებას“! მთელი აურზაური და პრობლემები სააკაშვილს დაეწყო სწორედ განათლებისა და მეცნიერების დამანგრეველი რეფორმების გამო და



**„ამას საპატრიარქოც ღიად აღნიშნავს და ამაზე საშობაო ქადაგებაში ისაუბრა პატრიარქმა, მაგრამ ახალ ხელისუფლებას არაფრის გაგონება არ უნდა!“**

თქვენ რა გგონიათ, როცა სააკაშვილი ერთადერთ შეცდომას აღიარებს და ესაა ის, რომ განათლების სფერო არ დავაფინანსე ისე, როგორც ეს საჭირო იყოო? დასაწყისში მილიარდი უნდა ჩამერიცხა და ორი მილიარდი მაინც უნდა დამეტოვებინა ბიუჯეტშიო? ნებისმიერმა პოლიტიკოსმა შესანიშნავად არ იცის, რომ, თუ განათლებაში ატარებს მსგავს არაპოპულარულ რეფორმებს, ის ხელისუფლება მარცხით ასრულებს არსებობას. ასე რომ, ეს უნდა გაითვალისწინოს „ქართულმა ოცნებამ“. ეს არ არის ჩემი სიტყვები, ამაზე მეტყველებს პოლიტოლოგიისა და პედაგოგიკის ისტორიები. ამ დროს დღევანდელ ხელისუფლებას პატარა სეგმენტის შეცვლაც არ უნდა განათლებაში და ეს ასე არ გამოვა, ის კოსმეტიკური ცვლილება, რისთვისაც ემზადებიან, არაფერს ნიშნავს, პირწმინდად უნდა დაინგრეს და ამოიშანთოს ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა, რადგანაც ყველაფერი ის არის ცუდი, კანონებია დანაშაულებრივი მიღებული და მეტი რა გითხრათ? ზოგადი განათლების კანონი არის დანაშაულებრივი, რომლის მიღებისთვის სააკაშვილსა და ყველა დეპუტატს, ვინც ხელი დააჭირა ღილაკს, პასუხი უნდა მოეკითხოს. მაინტერესებს, ხალხს ხვდებიან საერთოდ?

**— მე როგორც ვიცი, არა...**

– გაითვალისწინონ, რომ ძალა და ჭკუა არის ხალხში და რაც უნდა გაკეთდეს, ის ძალიან მარტივია: მათ ხალხთან უნდა დაიწყონ მუშაობა ისე, როგორც ეკადრება მმართველ პარტიას. იქ არის ზოგიერთი ადამიანი, რომლებიც პროფესიონალები არიან, მაგრამ მე ვერ გეტყვით, რა ხდება, ეს ხალხი შებოჭილია, თუ მათზე ზეწოლა ხდება, ვერ გამიგია. ანუ, ვინც პროფესიონალია, ისიც ვერ მუშაობს, გესმით? ყოველ შემთხვევაში, არ ჩანს მისი ნამოქმედარი. ვიმეორებ, შიდა სამზარეულო არ ვიცი და რა ხდება, ვერ ვიგებ. ერთი ვიცი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ზეწოლა იყო ივანიშვილზე, ახლა ზეწოლაა ღარიბაშვილზე. თუმცა, კადრები რომ შეეცვალათ და ამის უფლება რომ მიეცათ, ეჭვი გეპარებათ, რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყებოდა? 12 000 სკოლა რომ დახურეს და მიწები მიიტაცეს, ქონება რომ არის დატაცებული, კვლევითი ინსტიტუტები რომ გააუქმეს და ყველაფერი მიისაკუთრეს, ეს არ არის



**„ერთი ვიცი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ზეწოლა იყო ივანიშვილზე, ახლა ზეწოლაა ღარიბაშვილზე. თუმცა, კადრები რომ შეეცვალათ და ამის უფლება რომ მიეცათ, ეჭვი გეპარებათ, რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყებოდა?“**

ტია ყველაფრის საფუძველი. ეს თუ არ გაკეთდა, მეშინია, რა მოხდება. ვერ ხედავთ, რულოვსი რა ინტერვიუებს იძლევა?

**— რევანშისთვის ემზადებიან...**

– ეს უნდა იცოდეს „ქართულმა ოცნებამ“, რომ, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, იმათ ეს გამოუვათ, რადგანაც ხალხი ზურგს აქცევს დღევანდელ ხელისუფლებას. 10000 ადამიანია ჩვენი სისტემიდან გაყრილი, მათი ოჯახის წევრები დათვალეთ და მიამატეთ საზოგადოება, ამ სურათს რომ უყურებს. საზოგადოება ხელისუფლებას ვერ უკავშირდება, სამაგიეროდ, მე მიკავშირდებიან და მთხოვენ, ხმა მივაწვდინო. უნდათ, თავის ადგილებზე დაბრუნდნენ და ეს ღირს დასაფიქრებლად, არა? ამათ რა ჰგონიათ, თვითონ რომ სხედან პარლამენტში და დადიან დამუქებული ჯიპებით, ჰგონიათ, რომ ხელისუფლების შეცვლით ხალხს იარები მოურჩა? ეს ხალხი ისევ ქუჩაში ყრია და ამას მიხედვა უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ვიცი, რა ამბავი დატრიალდება.

»» თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## უმრავლესობა ვერ თანხმდება




პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის შეფასებით, უნდა დაკომპლექტდეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ისეთი ბორდი, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება.

კობახიძის თქმით, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს კანდიდატურებთან დაკავშირებით არ უნდა არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა თავად უმრავლესობაში, რადგან საუბარია საკმაოდ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პოზიციაზე. ამ თემაზე მმართველ გუნდში კონსულტაციები გაგრძელდება.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში კანდიდატების წარდგენის საკითხს ერთპიროვნულად არ წყვეტს არც მანანა კობახიძე, არც დავით უსუფაშვილი. ეს გადაწყვეტილება მისაღებია ფრაქციების მიერ, უმრავლესობის მიერ, უმცირესობის მიერ. ასე რომ, ჩვენ ვიმსჯელებთ, განვიხილავთ და მიიღება ის გადაწყვეტილება, რაც მისაღებია უმრავლესობისთვის, რადგან ამ შემთხვევაში პარლამენტი უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას და მას სჭირდება ხმათა ის აუცილებელი რაოდენობა, რაც კანონით არის გათვალისწინებული“, – განაცხადა კობახიძემ.

27 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდში მხოლოდ სამი კანდიდატი დაამტკიცა, ცხრიდან ექვსი ადგილი კი ვაკანტური დარჩა. ამასთანავე, უმრავლესობა ბორდში მისთვის განსაზღვრულ სამ ადგილზე მხოლოდ ერთ კანდიდატთან დაკავშირებით შეჯერდა. (ინტერპრესნიუსი)

## ციხე-კოლონიებში წირვა-ლოცვა აღევლინა



სასჯელაღსრულების №2 ქუთაისის დაწესებულებაში, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, წირვა-ლოცვა ქუთაის-გაენათის ეპარქიისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხარდაჭერით აღევლინა. სასულიერო პირებთან და მსჯავრდადებულებთან ერთად წირვას ციხის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობაც დაესწრო.

ლოცვის დასრულების შემდეგ მგალობლებმა დაწესებულების ყველა კორპუსში იგალობეს. მოძღვარი მგალობელთა გუნდთან ერთად ყველა საკანს ესტუმრა, იქ მყოფი მსჯავრდადებულები დალოცა და აიაზმა ასხურა. სასულიერო პირებმა მსჯავრდადებულებს საჩუქრად საეკლესიო ნივთები და ჟურნალ-გაზეთები გადასცეს.

სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ, მსჯავრდადებულთა №2 დაწესებულებაში რამდენიმე პატიმარიც მოინათლა. დღესასწაულთან დაკავშირებით, მსჯავრდადებულთა რესოციალიზაციის პროექტის ფარგლებში, პატიმრების მიერ შექმნილი საეკლესიო ნივთებისა და ხატების გამოფენაც მოეწყო.

საშობაო წირვა-ლოცვა სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების სამლოცველოში აღევლინა. (პირველი)

რეკლამა: ☎2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ქართულ მიწებს უცხოურ ბანკებში ჩადებენ?



გიგლა აგულაშვილი

მას შემდეგ, რაც მიწის უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით საზოგადოების მღელვარებამ იმატა და ხელისუფლება იძულებული გახდა, მორატორიუმი გამოეცხადებინა, კანონპროექტში ახალი ცვლილების შეტანას აპირებენ, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს მიწების უცხოეთის ბანკებში ჩადება შეეძლება. იქნება თუ არა უცხოეთის ბანკებში ჩადებული მიწა იმის საფუძველი, რომ უცხოელები ქართულ მიწას ლეგალური ფორმით მაინც დაეპატრონებიან და ამას საერთაშორისო დონეზე დაიკანონებენ?

„ალიას“ ესაუბრება პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე, გიგლა აგულაშვილი:

**— ბატონო გიგლა, მას შემდეგ რაც უცხოელებისთვის მიწების მიყიდვაზე მორატორიუმი გამოცხადდა, კანონპროექტში შეტანილი ცვლილებით, ახლა შესაძლებელი ხდება უცხოეთის ბანკებში მათი ჩადება. მიზანი მითხარით, რისთვის დაგჭირდათ. უცხოელი კერძო პირი ჩაიგდებს ხელში მიწას, თუ უცხოური ბანკი, რა მნიშვნელობა აქვს?**

– კომერციულ ბანკებთან დაკავშირებით ახალი რეგულაცია საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა იყო და მას პარლამენტმა მხარი დაუჭირა. ეს ინიციატივა გულისხმობს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისების მორატორიუმი არ გავრცელდეს კომერციულ ბანკებზე. საქმე ისაა, რომ, თუ თქვენი კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, თქვენ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას ვერ მოჰყვება ადეკვატური სანქციები, რადგან მორატორიუმის გამო ბანკი ვერ დაეუფლება ამ ქონებას. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად ყველა კომერციული ბანკის ბენეფიციარებში ფიგურირებს უცხოელი იურიდიული ან ფიზიკური პირი. ლაპარაკია ჩვენს კომერციულ ბანკებზე, რომელთა ბენეფიციარი დამფუძნებელი შეიძლება იყოს უცხოელიც და ამის გამო ამ ბანკზეც გავრცელდება მორატორიუმით დადგენილი წესები. ხსენებული ვითარება, ერთი მხრივ, არ ახალისებდა ბანკებს, რომ გასცენ კრედიტები სოფლის მეურნეობის სექტორში. მეორეს მხრივ, ამას შეეძლო წაეხალისებინა კრედიტის დაფარვისგან თავის არიდება.

**— ანუ კრედიტების გაცემისა და შემოსავლის მიღების გამო მიდიხართ უცხოეთის ბანკებთან ასეთ გარიგებაზე?**

– შეგახსენებთ, რომ გასული წლის 8 თვეში, ჩვენი ხელისუფლების მიერ ინიცირებული დაბალპროცენტიანი სესხების პროექტის ფარგლებში უკვე გაცემულია 240 მილიონი ლარის კრედიტები (წინა წლებში გაცემული იყო სულ 54 მილიონი). ეს დინამიკა დამაიმედებელია, მაგრამ ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ მოთხოვნა გაცილებით დიდია. ჩვენი ვალია, შევქმნათ ამ ორმხრივი (ბანკისა და ფერმერის) ინტერესის დაკმაყოფილების პირობები. ამ კანონპროექტის მიზანია, ხელი შევუწყოთ სოფლის მეურნეობის სექტორის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მზარდ და ჯანსაღ პროცესს.

**— იჯარით გაცემაც ხომ სარგებლის მომტანია, ამ მიმართულებით არ სჯობდა კანონპროექტის ცვლილებაზე მუშაობა?**

– სწორედ ამავე საკანონმდებლო ინიციატივის მეორე ნაწილი გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების იჯარით გაცემის შესაძლებლობას. ამ კანონის შინაარსი გულისხმობს, მიწის გრძელვადიანი იჯარით გაცემის შესაძლებლობას, თუ მოიჯარე დააკმაყოფილებს იმ პირობებს, რაც დადგენილი იქნება მთავრობის მიერ. ასეთი პირობა შეიძლება იყოს მიწათსარგებლობის წესების დაცვა (მაგ.: მოიჯარე უნდა გაუფრთხილდეს მიწას და მიიღოს ადეკვატური ზომები მისი ნაყოფიერი ფენის ეროზიისგან დასაცავად); პირდაპირი ინვესტიცია; ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა; სამუშაო ადგილების შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა. ასეთი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო მიწის გრძელვადიანი იჯარით შესაძლოა, ისარგებლონ როგორც საქართველოს მოქალაქეებმა, ისე უცხოელებმაც.

**— მიწის ბანკში ჩადებას ხომ საგარანტიო სჭირდება. რის სანაცვლოდ ვდებთ ამ მიწებს?**

– კრედიტის უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე რატომ მოგცემთ საფინანსო ინსტიტუტი სესხს? არაუზრუნველყოფილი სესხები სოფლის მეურნეობაში პრაქტიკულად წარმოუდგენელია. საქმეც ისაა, რომ ბანკები უზრუნველყოფის სახით მაღალლიკვიდურ უძრავ ქონებას ითხოვენ. ეს ბოლო 8 თვეა, რაც ბანკებსა და ფერმერებს შორის არსებული გაუცხოების დაძლევის პროცესის მომსწრე ვართ. ამისთვის სახელმწიფოს დასჭირდა სესხის პროცენტის სუბსიდირებისა და კრედიტების ნაწილობრივი დაზღვევის მექანიზმების ამუშავება. სახელმწიფოს თანამონაწილეობამ და პასუხისმგებლობების გადანაწილებამ სოფლის მეურნეობის დაკრედიტება წაახალისა და პოზიტიური შედეგიც სახეზეა. რა მოხდება, თუ მთელ ტვირთს სახელმწიფო აიღებს თავის თავზე? პასუხი მარტივია: ეს ხელს შეუწყობს ფერმერის უპასუხისმგებლობას, არხეინობასა და უდარდელობას. ასეთი ჰიპოთეტური სცენარის შემთხვევაში სახელმწიფოს მოუწევს, გადაიხადოს სხვისი ფინანსური ვალდებულებები. ეს კი გულისხმობს, რომ მე, თქვენ და აი, ის მკითხველი, რომელიც ახლა ამ გაზეთს კითხულობს და პატიოსნად იხდის გადასახადებს, გავისტუმრებთ სხვის ვალებს. არა მგონია, რომ ბევრი ადამიანი ნახოთ, ვინც ამას ისურვებს.

**— თუ ვალდებულება ვერ შესრულდა, ამ მიწებს ხომ გაყიდიან ბანკები? იგივე ხომ არ მოხდება, რაც მიწების უცხოელების გასხვისების შემთხვევაში და რა მნიშვნელობა ექნება, რა გზით გაყიდით მიწას, პირდაპირ თუ ირიბად?**

– თუ ვალდებულება ვერ შესრულა, მიწაც და უზრუნველყოფის სახით გამოყენებული სხვა ნებისმიერი ქონებაც შესაძლოა, გაიყიდოს, რათა ბანკმა შეძლოს დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნები. მაგრამ მორატორიუმის მოქმედების ვადაში სასოფლო-სამეურნეო მიწის მყიდველი ვერ იქნება უცხოელი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, თუნდაც გამყიდველი კომერციული ბანკი იყოს. არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ან სხვა ქონებაზე შეზღუდვა კი არც ყოფილა დაწესებული.

**— ვისი ინიციატივაა ეს კანონპროექტი, ექსპერტები თუ იყვნენ ჩართული? ვინმეს აზრი გაითვალისწინეთ?**

– იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით მუშაობდა და მუშაობს უწყებათაშორისი (ე.წ. მიწის) კომისია. ამ კომისიაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მუშაობენ დარგის სპეციალისტები და ექსპერტები. შესაბამისად, ჩვენ ვცდილობთ, რომ პოზიციები მაქსიმალურად შევაჯეროთ ხოლმე. ამ ბოლო ინიციატივასთან დაკავშირებით მოწინააღმდეგეთა არგუმენტები არ მომისმენია, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო შენიშვნებს. მსურველებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოგვმართონ, დაესწრონ კომიტეტის სხდომებს ან სხვა, მათთვის ხელსაყრელი ფორმით მიიღონ მონაწილეობა ამა თუ იმ საკითხის განხილვაში.



ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სუბარი ყელამდე ვალებში ყოფილა...(?!)



სასჯელაღსრულების მინისტრი უარყოფს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, მან 2013 წელს 2 ბინა შეიძინა, მესამეს შესაძენად კი კრედიტი აიღო.

„დეკლარაცია იყო აბსოლუტურად ზუსტად შევსებული, ხოლო თუ ვინმე ამას ვერ იგებს, შეეძლო დაერეკა და გაიგებდა პასუხს. რაც შეეხება ჩემს ქონებას, მაქვს ერთი სახლი სოფელ დმანისში, ერთი ბინა თბილისში, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ ჩემი არ არის, რადგან ბანკიდან უზარმაზარი ვალი მაქვს აღებული ამ ბინისთვის და თუ ვერ დავფარავ ვალს, შესაბამისად, ეს ბინაც აღარ მრჩება, დანარჩენი უძრავი ქონება არაფერი გამაჩნია. მთელი ჩემი ქონება, რეალური სიმდიდრე, ვისაც აინტერესებს, შეუძლია მოვიდეს ოჯახში და გაიცნოს ჩემი შვილები, ჩემი ოჯახი, ესაა ჩემი სიმდიდრე. კიდევ ერთი ხელშეკრულება, რომელიც დეკლარაციაში წერია და მეორდება მრავალი წელია – 2005-2006 წლებში ბინის მშენებლობა გადავწყვიტე, რომელიც დღემდე არ აშენებულა. ფული ამ წუთისთვის დაკარგულია, რაც გადახდილი მქონდა და იმედი მაქვს, რომ ოდესმე დამთავრდება და ზუსტად იმ ბინით ვფიქრობ დღევანდელი ბანკის ვალების გადახდას“, – განაცხადა სუბარმა. (პირველი)

## ირაკლი ღარიბაშვილის დეკლარაცია



ირაკლი ღარიბაშვილი თბილისში სამი ბინის, ერთი ავტოფარეხისა და ორი არასაცხოვრებელი ფართის მფლობელია. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ერთი ბინა და ავტოფარეხი გაგარინის ქუჩაზე მდებარეობს, ხოლო ორი ბინა და ორი არასაცხოვრებელი ფართი – მოსაშვილის ქუჩაზე.

ირაკლი ღარიბაშვილის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“, ასევე 10 ათასი ლარი.

პრემიერს რამდენიმე ანგარიში აქვს ბანკ „ქართუში“, რომელთაგან ერთ-ერთ ანგარიშზე 26 061 ლარი აქვს.

რაც შეეხება ანაზღაურებად სამუშაოს, რომელსაც პრემიერი სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა ასრულებდა, დეკლარაციის თანახმად, წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ირაკლი ღარიბაშვილმა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარეობიდან 15 476.19 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო, შპს „ქართულ ოცნებაში“ დირექტორად მუშაობით – 131 250 ლარი, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობისას – 7879.35 ლარი. (ინტერპრესნიუსი)

## ფრანგებმა მაგნიტებიანი ქვედა საცვლები გამოიგონეს



ვიღაც იტყვის, საცვლების გახდამდე მიმიშვა და მერე მე ვიცი და ჩემმა გუმანმაო, მაგრამ მაინცდამაინც ყველაზე მთავარ მომენტში იწყებს ხელები კანკალს და მიდი და გახადე მერე ქალს გინდ ტრუსები და გინდ – ბიუსტჰალტერი.

ჰოდა, სწორედ ამ პრობლემას მოაგვარებს ფრანგული „ლინგერეი დემენის“ სიახლე, რომლის დიზაინერებმაც მაგნიტებიანი ტრუსები და ბიუსტჰალტერები გამოუშვეს.

არახალი ამბავია, რომ ბიუსტჰალტერების შესაკრავის გახსნა არცთუ ისე იოლი საქმეა. ამის გამო თითოეული მამაკაცური ჟურნალი ათასგვარ ინსტრუქციას აქვეყნებდა იმისთვის, რომ ძლიერ სქესს ქალის გახდა მაქსიმალურად ადვილად მოეხერხებინა.

ახლა უკვე ყველა ეს პრობლემა წარსულს ჩაბარდება – ფრანგი დიზაინერების საცვლები მხოლოდ მცირე ზომის, მაგრამ ძლიერი მაგნიტებით იკვრება, რომლების ერთმანეთისგან დაშორება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

მოკლედ, მამაკაცები კი ამოისუნთქავენ, ოღონდაც, მხოლოდ საცვლების გახსნის თვალსაზრისით, რადგან ფრანგების ნაწარმი საკმაოდ ძვირადღირებულია – კომპლექტი 200 აშშ დოლარამდე ღირს. ეს თანხა კი ხშირ შემთხვევაში, კვლავაც მამაკაცის ჯიბიდან უნდა ამოცურდეს...

*rokf.ru*

## ხელოვნური ფეხები გონების ძალას დაუმორჩილეს



შეიქმნა და წარმატებით გამოიცადა ფეხის პროთეზები, რომელთა მართვასაც ადამიანი გონების ძალით ახერხებს.

რა თქმა უნდა, ეს გამოგონება ძალიან მნიშვნელოვანია პარალიზებული ადამიანებისთვის, რომლებსაც ეძლევათ უნიკალური შანსი, სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილდნენ.

ადამიანები, რომლებსაც ხერხემალზე აქვთ ტრავმა გადატანილი და ფეხების პარალიჩი აწუხებთ, მოძრაობით ფუნქციებს აღიდგენენ და ამით თავიდან სერიოზულ გართულებებს აიცილებენ.

სიახლის ავტორები ამერიკელი მეცნიერები არიან. მათ ნეირომანქანის ინტერფეისი გამოიგონეს, რომელიც საშუალებას იძლევა, ფეხებზე დამაგრებული ექსოჩონჩხები გონების ძალით იმართოს.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ექსოჩონჩხების მართვა ელექტროენცეფალოგრამული სიგნალებით ხდება, რომლებსაც სპეციალური ხელსაწყოები აფიქსირებენ და შემდეგ მათ კომპიუტერი ამუშავებს. მომდევნო ეტაპზე საქმეში უკვე ტვინი ერთვება და ადამიანი პროთეზებს დამოუკიდებლად ამოძრავებს.

კვლევის პირველ ეტაპზე სპეციალისტებმა ადამიანების თავის ტვინის ელექტროენცეფალოგრამული სიგნალები შეისწავლეს და სპეციალური რუკა შეადგინეს, რომელიც ამ სიგნალების განმარტებებს იძლევა.

რა ღირს ამერიკელების მიერ შექმნილი გონების ძალით მართვადი პროთეზები, ჯერჯერობით უცნობია.

*zemladom.org*

## ბავშვისთვის მამის ყურადღება უფრო ფასეულია, ვიდრე დედის?



ეს ინფორმაცია ერთდროულად სასიამოვნოცაა მამაკაცებისთვის და სამწუხაროც. სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც ეწინააღმდეგება ქალებში ფართოდ გავრცელებულ პოპულარულ მოსაზრებას, რომ შვილებისთვის დედაა მთავარი. სამწუხარო კი იმიტომაა, რომ, რაც არ უნდა სექსიზმში დაგვდონ ბრალი, ჩვეულებრივ, მამაკაცი გაცილებით ბევრს მუშაობს, ვიდრე ქალი და შესაბამისად, შვილს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს.

კონექტიკუტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების მხრივ, მამის ყურადღება და სიყვარული გაცილებით დიდ როლს თამაშობს, ვიდრე დედის. ასევე, მამის უყურადღებობა ბავშვს უფრო მეტად უკლავს გულს და აზარალებს, ვიდრე ეს დედის შემთხვევაში ხდება.



სანამ აღნიშნულ დასკვნას გამოიტანდნენ, ამერიკელმა სპეციალისტებმა ორივე სქესისა და სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების დაახლოებით 10 ათასი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს.

მიზეზად, თუ რატომ აფასებს უფრო მეტად ბავშვი მამის სიყვარულს, სპეციალისტები იმას ასახელებენ, რომ ბევრ კულტურაში მამაკაცის მდგომარეობა გაცილებით პრესტიჟულია – ითვლება ოჯახის უფროსად, აქვს უფრო დიდი ავტორიტეტი, ვიდრე ქალს. ამდენად, ბავშვი მამის ყურადღებას აღიქვამს, როგორც მის აღიარებასა და დაფასებას.

*dr20.ru*



## სექსუალური მადა მამაკაცს... კლავს

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ენერგორესურსები, რომელსაც მამაკაცი სექსუალურ მოთხოვნილებებზე ხარჯავს, კასტრაციის შემთხვევაში სხვა მიმართულებით ნაწილდება.

სწორედ ძლიერი სქესის ჰორმონებია მიზეზი, რომ მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე ქალების.

აღნიშნული დასკვნები კორეელმა მეცნიერებმა მას შემდეგ გამოიტანეს, რაც შუა საუკუნეების საჭურისების სიცოცხლის ხანგრძლივობა შეისწავლეს, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, გაცილებით დიდხანს ცოცხლობდნენ, ვიდრე „ჩვეულებრივი“ მამაკაცები.

კორეელმა მეცნიერებმა XIV-XIX საუკუნეებში მცხოვრები საჭურისების მონაცემები შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ კასტრირებული მამაკაცები დაახლოებით 20 წლით დიდხანს ცხოვრობენ.

დასკვნის შემდეგ, რომ მამაკაცური ჰორმონები სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებს, მეცნიერები ამას იმ ფაქტითაც ამყარებენ, რომ ქალები, რომლებსაც ტესტოსტერონის გაცილებით დაბალი დონე აქვთ, უფრო დიდხანს ცხოვრობენ.

*firstnews.ru*

## ღვინო — წამალი მწეველებისთვის?



მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მწეველებისთვის ჰაერივით საჭიროა ზომიერ ფარგლებში ღვინის მიღება, რათა ამით ფილტვის კიბოს რისკის შემცირება შეძლონ.

ასეთ დასკვნამდე სწავლულები 3-წლიანი კვლევის შედეგად მივიდნენ, რომელშიც ისინი 45-69 წლის ასაკის 84 ათასამდე მოხალისეს აკვირდებოდნენ.

მათ შესთავაზეს შამპანურის, წითელი და თეთრი ღვინისა და სპირტიანი სასმელების დალევა. შემდეგ მოხდა იმის გაანალიზება, როგორი ზემოქმედება მოახდინა ჩამოთვლილმა სასმელებმა მოხალისეების ორგანიზმზე. ამასთანავე, სპეციალისტებმა გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ექსპერიმენტის მონაწილეების ასაკი, წონა, განათლებისა და შემოსავლების დონე, სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებებისა და ემფიზემის ისტორია, ასევე, ალკოჰოლის მოხმარებისა და სიგარეტის მოწევის სიხშირე.

აი, შედეგიც: ყველა სასმელიდან მხოლოდ წითელმა ღვინომ შეძლო, მწეველების დასუსტებულ ფილტვებში კიბოს უჯრედების გაჩენას შეწინააღმდეგებოდა. კონკრეტულად: თვის მანძილზე მიღებული ერთი ბოკალი ღვინო კიბოს გაჩენის რისკს 2 პროცენტით ამცირებს, დღეში 3-4 ბოკალი კი – მთელი 60 პროცენტით.

ასეთი შედეგი რესვერატროლის დამსახურებაა, ნივთიერების, რომელსაც ყურძნის კანი შეიცავს.

*medkarta.com*

## ფენომენალური მეხსიერების გამო, ბრიტანელი სტუდენტი ვერაფრის დავიწყებას ვერ ახერხებს



ერთი შეხედვით, დარემის უნივერსიტეტის სტუდენტი ავრელიან ჰაიმანი სრულიად ჩვეულებრივი ახალგაზრდაა. თუმცა 20 წლის ყმაწვილის ფენომენალური მეხსიერება ნებისმიერ ენციკლოპედიას გაუწევს კონკურენციას – ავრელიან ჰაიმანს ახსოვს თითქმის ყველა მოვლენა, რაც მის ცხოვრებაში მომხდარა.

ჰაიმანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით იმ 20 ადამიანის რიცხვში შედის, რომლებიც მსგავსი მონოლითური მეხსიერებით გამოირჩევიან. მის ფენომენს მეცნიერული სახელწოდებაც აქვს და ჰიპერტიმეზია ეწოდება, ანუ ზემეხსიერება. ჩვენი გმირი კი დიდ ბრიტანეთში ამ უჩვეულო სინდრომის ერთადერთი მფლობელია.

ის არ ამტკიცებს, რომ აბსოლუტურად ყველა დღე ახსოვს თავისი ცხოვრებიდან. ჰაიმანი აღიარებს, რომ თითოეული დეტალისა და მოვლენის დამახსოვრება 14 წლიდან დაიწყო.

– თავიდანვე ვერ მივხვდი, რომ მთელი ცხოვრების გახსენება შემეძლო. მაგრამ, როცა 14 წლის გავხდი, გავაცნობიერე, რომ რამდენიმე წლის წინათ მომხდარ უმნიშვნელო ფაქტსაც კი ვიხსენებდი, – ამბობს ჰაიმანი.

ახალგაზრდა ბრიტანელი მეცნიერებმა უკვე ბევრჯერ შეამოწმეს და დამტკიცდა კიდეც, რომ მას შეუძლია, ისიც კი გაიხსენოს, როგორი ამინდი იყო წლების წინათ, ვინ რას ამბობდა, რის შესახებ საუბრობდნენ ტელევიზორში, ვინ რას ჭამდა, რა ეცვა და ასე შემდეგ...

*tainamira.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# როგორ უნდა აირჩიოთ ქერტლის საწინააღმდეგო საშუალებები, რომ ჯანმრთელობა არ დაიზიანოთ



სტატისტიკის თანახმად, დედამიწაზე მცხოვრები ყოველი მე-3 ადამიანი ქერტლისგან იტანჯება, ადამიანების 3-5 პროცენტი კიდევ – სებორეისგან (ცხიმის ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა, რომელიც კანის ცხიმის გაძლიერებული გამოყოფით ხასიათდება).

რასაკვირველია, თავმოყვარე ადამიანი ამ უსიამოვნებებთან ბრძოლას ყველანაირად ცდილობს და როგორც წესი, არჩევანს სამკურნალო შამპუნებზე აკეთებს. შვებას ასეთი საშუალებებისგან ისინი იღებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაძლებელია, ჯანმრთელობა დაიზიანონ.

არავითარი დადებითი შედეგი ქერტლსა და განსაკუთრებით სებორეას არ მოაქვს: მუდმივი ქავილი, თმების გამოშრობა და ცვენა ლამის გამელოტებამდე, უსიამოვნო გარეგნობა და ასე შემდეგ.

მათი გაჩენის მიზეზი, ჩვეულებრივ, კანის ფუნქციური მდგომარეობის შეცვლას უკავშირდება. სპეციალისტების განმარტებით, როგორც წესი, ეს უსიამოვნებები სქესობრივი მომწიფების პერიოდში – 12-დან 22 წლამდე ხდება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, მოგვიანებითაც იჩინოს თავი. არასწორი მკურნალობის შედეგად კანზე მიკროსკოპული სოკოები ჩნდებიან, რასაც ქავილი და კანის ანთება მოსდევს. ადამიანების დაახლოებით 10 პროცენტს სებორეა სიცოცხლის ბოლომდე აწუხებს, ნაწილი მელოტდება, სხვები გართულებებისგან იტანჯებიან: სებორეული დერმატიტისგან, ეგზემისგან, ჩირქოვანი გამონაყარისგან და ასე შემდეგ.

ჩვეულებრივი ქერტლის მოშორება თავის მოვლის საშუალების შეცვლით ან ა და ბე ვიტამინების მიღებით ხერხდება. მაგრამ, თუკი ქერტლი სებორეას უკავშირდება, მოქმედებათა მთელი კომპლექსია საჭირო და პირველ რიგში, ნერვული და მომნელებელი სისტემების აღდგენაზე უნდა მოხდეს კონცენტრირება. კერძოდ, საჭიროა სრულფასოვანი ძილი, დიეტა, სუფთა ჰაერზე სეირნობა. გარდა ამისა, უნდა მოხდეს სამკურნალო შამპუნების გამოყენება, თუმცა ბევრისთვის ეს საკმაოდ რთულად გადასადგმელი ნაბიჯია: ისინი შიშობენ, რომ სამკურნალო საშუალებიდან ერთ-ერთის გასინჯვის შემდეგ რთული იქნება მასზე უარის თქმა და ახალ შამპუნზე გადასვლა. მათი აზრით, ნებისმიერი ცვლილება ქერტლის მორიგი შეტევით დამთავრდება.



რიგ შემთხვევებში ეს შიშები გამართლებულია, მაგრამ პირველ რიგში, ეს ეხება ფართოდ რეკლამირებულ შამპუნებს კოსმეტიკური ეფექტით. მათ შემადგენლობაში დიდი რაოდენობით ისეთი კომპონენტები შედის, რომლებიც მხოლოდ დაავადების მსვლელობას ნიღბავენ. შესაბამისად, მათი გამოყენების შეწყვეტის შემდეგ, თავი კვლავ ქერტლით იფარება. ეს კი მხოლოდ მწარმოებლებისთვისაა მომგებიანი, რადგან მომხმარებელი მათ ნაწარმზე „ჯდება".

სხვა ეფექტი აქვს სამკურნალო შამპუნებს, რომლებიც აქტიური კომპონენტების წყალობით, დაავადებას კი ამარცხებენ, მაგრამ ასეთი საშუალებების არჩევისას ძალიან დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი მათგანის შემადგენლობაში კეტოკონაზოლი შედის, მძლავრი ანტიმიკოტიკი, რომელიც უკვე დიდი ხანია, სხვადასხვა სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ ეფექტურად გამოიყენება. ერთი კია, როგორც კლინიკურმა შედეგებმა აჩვენა, ორგანიზმზე ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად, აღნიშნული ნივთიერება დარღვევებს იწვევს ქოლესტერინის, სქესობრივი და თირკმელზედა ჰორმონების სინთეზში. ეს კი თავის მხრივ, მამაკაცებში გინეკომასტიას (მკერდის გადიდება, პოტენციის დარღვევა, სპერმის მოცულობის შემცირება) და სხვა საშინელ დაავადებებს აჩენს.

საბოლოო ჯამში, ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: სხვადასხვა შამპუნი ქერტლს სხვადასხვაგვარად ებრძვის. იმისთვის, რომ ისეთი საშუალება იპოვოთ, რომელიც სწორედ თქვენ დაგეხმარებათ, ექსპერიმენტების ჩატარებაზე უარი არ უნდა თქვათ. ქერტლი დაბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეფექტი დროებითია. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ დაავადება არსადაც არ წასულა.

***newsland.ru***



ახალგაზრდების ჯგუფი აგარაკზე ახალ წელს აღნიშნავს. საძინებელში მორიგი წყვილი განმარტოვდა...

– კოტე, მაგარი იყავი, ასეთი სასწაული ჯერ არ მოგიხდენია! ალბათ, იმიტომ, რომ ახალი წელია, არა?

– არა! ალბათ, იმიტომ, რომ მე კოტე არ ვარ...

*****



– შვილო, ეს ბიჭი ხომ ელამია, კოჭლი, მელოტი და ცალხელა, ნუ გაჰყვები ცოლად.

– ლამაზი არც მჭირდება!

– მე ის ვიგულისხმე, რომ ცხოვრებამ ისედაც დატანჯა და შენ მაინც დაინდე!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*





## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*



დედა ციცო ჯაფარიძე, მეუღლე რუსუდან ნიკურაძე, შვილი ნარიმან კობახიძე, და ნინო კობახიძე, სიძე გიგა სხილაძე, მამიდა რუსუდან კობახიძე, ბიძები ვაჟა და გივი ჯაფარიძეები, სოსო თავაძე ოჯახებით, თამუნა და დათო სუჯაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### დათო კობახიძე

**პანაშვიდი:** 7, 8 იანვარს, 16 საათზე;
**მისამართი:** ტაშკენტის ქ. №10ა (საბურთალო);
**გამოსვენება:** ხუთშაბათს, 9 იანვარს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

მეუღლე ლალი, შვილები ეკატერინე და თამარი, სიძე კახა ხვედელიძე, შვილიშვილები ჯება არჯევანიძე, მარიამ ხვედელიძე, დავით, ნიკოლოზ, ალექსანდრე და ანასტასია ლეკიაშვილები, ძმები კანდელი და ავთანდილი ოჯახებით, დეიდაშვილი ასმათ იალანაშვილი, სიდედრი გულიკო ცხენოსანიძე, ცოლისძმა გოჩა ცხენოსანიძე ოჯახით, მძახლები მედიკო ლომიძე, ედვარდ და დალი ლეკიაშვილები, ლერი და იდა ხვედელიძეები, ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### დავით ლოლაძე

**პანაშვიდი:** 7, 8 იანვარს;
**მისამართი:** იოსებიძის ქუჩა №72-ბ, მე-6 სართული;
**გამოსვენება:** ხუთშაბათს, 9 იანვარს 14 საათზე, ვაკის სამების სახელობის ტაძრიდან.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## მოშინაურებულ გრიზლის პაბში სიარული და ბილიარდის თამაში უყვარს





მოსიყვარულე წლინახევრის გრიზლი, სახელად ბილი, კანადელმა მომთვინიერებელმა მაკრ დიუმამ და მისმა მეუღლე დონამ გასულ წელს „იშვილეს“. მას შემდეგ დათვის ბელი წყვილს გვერდიდან აღარ შორდება.

114-კილოგრამიანი დათუჩა ქალაქ ვანკუვერში, კერძო სახლში ცხოვრობს და თურმე, ძალიან უყვარს აუზში ბანაობა, ადგილობრივ პაბში ბილიარდის თამაში და პატრონთან ჭიდაობა. საღამოობით კი ის ტელევიზორის წინ სავარძელში ჯდება და საყვარელ გადაცემებს მთელ ოჯახთან ერთად უყურებს.

– ბილი ძალიან კეთილი და გონიერია და ყველაფერს ძალიან ადვილად სწავლობს, – ამბობს მარკ დიუმა.

მისივე თქმით, დათვის ყველაზე საყვარელი საჭმელი მურაბაა და ხშირად ჰყოფს ცხვირს ქილაში, როცა პატრონებთან ერთად ტყეში პიკნიკზე მიდის.

***drunov.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

შობისა და ახალი წლის მობრძანებას ვულოცავთ საგვარეულო კავშირი „წაქაძეების“ დამფუძნებლის, ბეჟან წაქაძის ოჯახს.



სადღესასწაულო განწყობას კიდევ უფრო ამაღლებს შვილიშვილის შეძენა, მარიამის დაბადებას ვულოცავთ მშობლებს, ბიძინასა და ქეთევანს, ვუსურვებთ, გაეზარდოთ ქვეყნისა და ოჯახის საამაყო შვილი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი.





უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი.

***ელგუჯა წაქაძის ოჯახი***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**8 იანვარი:** იმის მიუხედავად, მარტო იქნებით თუ ხმაურიან კომპანიაში, მეგობრები მოგენატრებათ. იქნებ შეეხმიანოთ და მოინახულოთ, ურიგო არ იქნებოდა.

**კურო 22.04-21.05**

**8 იანვარი:** არსებული ვითარება ჩაგაფიქრებთ. იქნებ მართლაც არასწორი მიმართულებით მიდიხართ. სერიოზულად გადახედეთ თქვენს გეგმებს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**8 იანვარი:** შეიძლება დღეს თქვენი რეაქციები არაადეკვატური იყოს, ხოლო სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამთ, განსხვავებული იქნება იმისგან, რის თქმასაც აპირებდით. იქნებ დღეს სახლში დარჩენილიყავით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**8 იანვარი:** თუ საშუალება გაქვთ, იქნებ ორიოდე დღე დაგესვენათ. წინ მძიმე სამუშაო გელით და კარგი იქნება, თუ ძალებს მოიკრებთ.

**ლომი 23.07-22.08**

**8 იანვარი:** რა სისულელეც არ უნდა თქვათ, რატომღაც, გარშემომყოფნი დაიჯერებენ. ურიგო არ იქნება თუ ამ სიტუაციას გამოიყენებთ, ოღონდ ზედმეტი არ მოგივიდეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**8 იანვარი:** ყველას თანაუგრძნობთ და ცდილობთ, რამეთი დაეხმაროთ. არ მოგბეზრდათ? იქნებ ის მაინც გაიგოთ, გიფასებენ მაინც?

**სასწორი 23.09-22.10**

**8 იანვარი:** დღეს რამდენიმე ისეთი პრობლემის მოგვარებას მოახერხებთ, რომლებიც საკუთარ თავს გაუფრთხილებლობით, თუ უყურადღებობით, თვითონვე შეუქმენით.

**მორიელი 23.10-21.11**

**8 იანვარი:** დარწმუნებულიც რომ იყოთ, რომ ყველაფერში მართალი ხართ, კომპრომისზე წასვლა მაინც მოგიწევთ. ასე უფრო მეტ შედეგს მიიღებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**8 იანვარი:** თქვენ საკმაოდ იშრომეთ საიმისოდ, რომ დღეს მუშაობით წელში არ გაწყდეთ. თუ ამას ვერ ახერხებთ, ან არ გინდათ, ტემპი მაინც დააგდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**8 იანვარი:** უმჯობესია, დღეს სხვათა პრობლემები სამომავლოდ გადადოთ და საკუთარს მიხედოთ. ჯერ მთავარი მოაგვარეთ, მერე დანარჩენები, ყველას ერთად ვერ დაძლევთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**8 იანვარი:** ახალი არაფერი წამოიწყოთ. პოტენციურად ფეთქებადი სიტუაცია ხვალამდე გაგრძელდება.

**თევზები 19.02-20.03**

**8 იანვარი:** შთაგონება სერიოზული ძალაა, მაგრამ, თუ არაქათს გამოიცლით, ყველაფერს ხაზს გადაუსვამთ. ყველაფრის ერთად განხორციელებას ვერ შეძლებთ, რომელიმე ერთი შეარჩიეთ.

## წონაში რომ დაიკლოთ, ეტიკეტები უნდა იკითხოთო



„თვალი სვამს და თვალი ჭამსო“, ხომ გაგიგიათ? ჰოდა, თუკი გსურს, რომ ზედმეტი კილოგრამები მოიშოროთ, ჯერ თვალს აჭამეთ, ოღონდაც, პროდუქტების ეტიკეტები და შედეგიც არ დააყოვნებს.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთ მოსაზრებას გვიზიარებენ ესპანელი მეცნიერები სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტიდან.

მათი მტკიცებით, ქალები, რომლებიც ყურადღებით სწავლობენ ეტიკეტებზე მოცემულ ინფორმაციებს, საშუალოდ, 4 კილოგრამით ნაკლებს იწონიან, ვიდრე ისინი, ვინც ეტიკეტებს ზედაც არ უყურებს.

ესპანელებმა კვების, წონის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა წესჩვეულებების შესახებ ჩატარებული 25 ათასი კვლევის შედეგები გააანალიზეს და აღნიშნული დასკვნა სწორედ ამის შემდეგ გამოიტანეს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აწონ-დაწონილი მიდგომა პროდუქტების არჩევაზე, ადამიანს გაცილებით სასარგებლო და დაბალკალორიული საკვებით ამარაგებს. ეს კი, რასაკვირველია, წონის დაკლებას იწვევს.

***woman.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტე ფერმაში მივიდა და პირდაპირ მთავარ სპეციალისტად დანიშვნა მოითხოვა:

– კი, მაგრამ რა შეგიძლიათ ასეთი? – დაინტერესდა მომავალი შეფი.

– ცხოველების ენა მესმის!

– კარგი, შევამოწმოთ შენი შესაძლებლობები, – შეფმა კოტე ჯერ ძროხასთან მიიყვანა:

კოტე: „მუუ-უუუ-უუ!“

ძროხა: „მუ-უუუუუ-უუ!“

– ასე მითხრა, 15 ლიტრს ვიწველი, მაგრამ მწველავი თებრო 5 ლიტრს იპარავს და სახლში მიაქვსო, – შეამოწმეს და მართალი აღმოჩნდა...

ახლა კოტე ღორთან მიიყვანეს:

კოტე: „ღრუტ-ღრუტ-ღრუტ!“

ღორი: „ღრუტ-ღრუტ!“

– ღორი ამბობს, 7 გოჭი გავაჩინე, მაგრამ 2 ტროყიაანთ ემზარამ წაიყვანა სახლშიო, – შეამოწმეს, ესეც მართალი აღმოჩნდა.

მოკლედ, კმაყოფილია მომავალი შეფი და მიჰყავს კოტე კაბინეტში, რომ დეტალები შეათანხმონ. ამ დროს გზაზე თხა გამოცანცარდა:

– „მეე-მეე-მეე-მეეეე!“

– არ დაუჯერო, კოტე, არ დაუჯერო! სულ ერთხელ მოხდა და ისიც იმიტომ, რომ მაგარი მთვრალი ვიყავი!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


„ალია-ჰოლდინგი“

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

რედაქციის მისამართია:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.28

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49



სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.





**ირმა ჯოხაძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს და ღვთის წყალობას საყვარელ ადამიანებთან ერთად.

*„ალია ჰოლდინგი“*



**ამინდი**

თბილისი

19 ნოემბერი

დღე +9

ღამე +2

**რეგიონები**

19 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +19 | ღამე | +12 |
| ქუთაისი | +17 | ღამე | +11 |
| თელავი | +9 | ღამე | +2 |
| ფოთი | +20 | ღამე | +14 |
| გორი | +11 | ღამე | +1 |
| ზუგდიდი | +19 | ღამე | +13 |

*მომზადა მიხეილ სახვაძემ*

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

*****

რეჟისორი ახალბედა დრამატურგს:

– წავიკითხე თქვენი პიესა, მაგრამ სპექტაკლს მისი მიხედვით არ დავდგამ.

...საალმდეგი ვარ!

– ჰო, მაგრამ ტექსტში დედის გინება საერთოდ არ არის.

– ტექსტში არ არის, მაგრამ დარბაზში აუცილებლად იქნება!..

-------

*****

– ნათესავები გყავთ საზღვარგარეთ?

– არა...

– აბა, აქ რომ გიწერიათ, და, ძმა, მშობლები და ბიძა ისრაელში ცხოვრობენო?

– ჰო, მაგრამ ეს მე ვარ საზღვარგარეთ, ისინი სამშობლოში არიან!

*****

ნავავსაყრელზე ორი ბომჟი ზის:

– გაიგე, ქვეყანაში სერიოზული ფინანსური კრიზისი დაწყებულა.

– ეგ რას ნიშნავს?

– აი, მაგალითად, მდიდარი ნაცნობები გყავს?

– არა.

– ჰოდა, მალე გეყოლება!..

*****

ლექტორი აუდიტორიასთან მოწყენილი დგას. კოლეგა ეკითხება:

– რა გჭირს, მოხდა რამე?

– როგორ არ მოხდა, ცოლმა სახლიდან გამომაგდო.

– რატომ?

– მასთან სექსის შემდეგ წამომცდა, – „ყოჩაღ, მომაწოდე ჩათვლის წიგნაკი“.

*****

– თეონა, წამოხვალ კინოში?

– წამოვალ!

– და შენი შეყვარებული არ გაბრაზდება?

– შეყვარებული არც მყავს – ქმარმა მომიკლა...

*****

– დასასვენებლად საით აპირებ?

– ეჰ, ჩემი ბიუჯეტი შევაფასე და გადავწყვიტე, რომ არც ისე დაღლილი ვყოფილვარ...

*****

– აღმოსავლელი ქალები ჩადრს რატომ ატარებენ?

– იმიტომ, რომ აღმოსავლელ მამაკაცებს ალკოჰოლის დალევის უფლება არ აქვთ, გვარს კი გაგრძელება სჭირდება!..

*****

ორი დაქალი ჭორაობს:

– აღარ შემიძლია, გოგო, იძულებული ვარ, სულ ფრთხილად ვიყო, რომ არ დავფეხმძიმდე.

– როგორ? შენ არ მითხარი, ჩემი ქმარი სტერილიზებულიაო?

– ჰოდა, ზუსტად მაგიტომ!..

**ამინდი**

| თბილისი | | | |
|---|---|---|---|
| 22 ნოემბერი | | | |
| დღე | +12 | | |
| ღამე | +1 | | |
| 23 ნოემბერი | | | |
| დღე | +14 | | |
| ღამე | +2 | | |
| 24 ნოემბერი | | | |
| დღე | +15 | | |
| ღამე | +2 | | |

**რეგიონები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 ნოემბერი | | | |
| ბათუმი +18 | ღამე | +12 | |
| ქუთაისი +20 | ღამე | +10 | |
| თელავი +12 | ღამე | -1 | |
| ფოთი +20 | ღამე | +13 | |
| გორი +14 | ღამე | +1 | |
| ზუგდიდი +20 | ღამე | +9 | |
| 23 ნოემბერი | | | |
| ბათუმი +17 | ღამე | +11 | |
| ქუთაისი +20 | ღამე | +11 | |
| თელავი +13 | ღამე | -1 | |
| ფოთი +18 | ღამე | +12 | |
| გორი +15 | ღამე | -1 | |
| ზუგდიდი +19 | ღამე | +10 | |
| 24 ნოემბერი | | | |
| ბათუმი +20 | ღამე | +8 | |
| ქუთაისი +23 | ღამე | +11 | |
| თელავი +14 | ღამე | +2 | |
| ფოთი +20 | ღამე | +13 | |
| გორი +16 | ღამე | +1 | |
| ზუგდიდი +21 | ღამე | +11 | |

## ჩვენი გალაქტიკა სხვა გალაქტიკის შეჯახებისკენ მიმავალ გზას ადგასო

*მომზადა მიხეილ სახვაძემ*

ალბათ, ძალიან გაგვიჭირდება იმის დათვლა, რამდენჯერ ... ებაზე ხან სხვა პლანეტასთან, ხან კომეტასთან, ხან უცხო... ასე შემდეგ. ახლა კი ისინი გაცილებით შორს წავიდნენ და ...დეს, გალაქტიკების შეჯახებაზე ჩამოაგდეს სიტყვა.

ერთი ეგ არის, სანერვიულო ნამდვილად არაფერი გვაქ... დი წლის შემდეგ მოხდება.

და რა მოხდება მაშინ, როცა ერთმანეთს გალაქტიკებ... სავარაუდოდ, ახალი „კომბინირებული“ გალაქტიკა უბრალოდ, სიმ... ადგილმდებარეობა ექნება, ჩვენი მზის სისტემა კი ორბი...



## ძილის დარღვევა ალცჰეიმერის ...ვრდება?

...ის შემქმნა შეუძლია უძილობას, ალბათ, ...რა, თავად ექიმებს არ აქვთ ამ საკითხზე ...

...ამიანთ სიახლე იმას ეხება, რომ თურ... ...ნ ერთად, უძილობა თავის ტვინში მიმ... ...ლი... მაუწყებელი შეიძლება იყოს. ადამიანებს, რომლებიც ასეთი დარღვევით იტანჯებიან, შემდგომში ალცჰეიმერის დაავადება უჩნდებათ.

*ufolog.ru*

ექსპერიმენტის დახმარებით დადგინდა, რომ ძილის დარღვევასა და ტვინში ... (შედედებული ცილები) რაოდენობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. სწორედ ეს შედედებული ცილები ხდება დაავადების გამომწვევი მიზეზი. ...ლია, რომ ზუსტად პირველი ...ციტების წარმოქმნის მომენტში მღრღნელებს ძილის ციკლი ერღვევათ.

სპეციალისტების განმარტებით, როგორც წესი, დღისით თაგვები საათში 40 წუთი იძინებენ. თუმცა შედედებული ცილების წარმოქმნამ ის შედეგი გამოიღო, რომ ძილის ხანგრძლივობა მინიმუმ 30 წუთამდე შემცირდა.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის სპეციალისტები ვარაუდობენ,

**ამინდი**

| თბილისი | | | |
|---|---|---|---|
| 15 ნოემბერი | | | |
| დღე | +17 | | |
| ღამე | +4 | | |
| 16 ნოემბერი | | | |
| დღე | +13 | | |
| ღამე | +4 | | |
| 17 ნოემბერი | | | |
| დღე | +14 | | |
| ღამე | +1 | | |

**რეგიონები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 ნოემბერი | | | |
| ბათუმი +17 | ღამე | +8 | |
| ქუთაისი +15 | ღამე | +7 | |
| თელავი +17 | ღამე | +4 | |
| ფოთი +16 | ღამე | +10 | |
| გორი +14 | ღამე | +2 | |
| ზუგდიდი +15 | ღამე | +7 | |
| 16 ნოემბერი | | | |
| ბათუმი +17 | ღამე | +6 | |
| ქუთაისი +18 | ღამე | +7 | |

გაზეთები ალია და კვირის ქრონიკა



ძალიან მსუქანი მამაკაცი ძალიან გამხდარს შეხვდება:

მსუქანი ეუბნება:

– რომ გიყურებ, ასე მგონია, საკვები მთელ მსოფლიოში გამოილია.

გამხდარი პასუხობს:

– ჰო, შენ რომ გიყურებ, ვხვდები რატომაც!..

*****

თუკი თქვენი ბუღალტერი ყველა გადასახადს იხდის, ადგეს და ხელფასი საგადასახადო ინსპექციას მოსთხოვოს.

*****

მდივანი შეფს ეუბნება:

– რომ იცოდეთ, როგორ ტყუილებს ყვება თქვენს შესახებ თქვენი მოადგილე...

– ეგ არაფერი! მთავარია, სიმართლე არ მოყვეს.

*****

პროკურორი:

– ექვმიტანილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამორჩეულია სიმამაცით, მოხერხებულობითა და მდიდარი ფანტაზიით.

ექვმიტანილი:

– ტყუილად მაქებთ, მაინც არ ვაღიარებ!

*****

ზევით აწეული დიდი თითი ნიშნავს თხოვნას – „გამოგყვები“;

ზევით აწეული შუა თითი ნიშნავს ამ თხოვნის სტანდარტულ უარს...



– დე, ჩვენი აბაზანით მართლა ღმერთი სარგებლობს ხოლმე?

– არა, შვილო, საიდან მოიტანე?

– აბა, მამიკო ყოველდღე აბაზანის კარის გაღებისას რატომ ამბობს ხოლმე: „ღმერთო, შენ კიდევ აქ ხარ?!“

*****

„ჰონდა“ „მერსედესს“ დაეჯახება. გვარიანად მიჭეჭყავს. გადმოხტება „მერსედესიდან“ ოთხი ჯანიანი ყმაწვილი, გამოგლეჯს „ჰონდას“ კარს და დაუწყებს იქ მჯდარ მამაკაცს ცემას. კაცი ყვირის: „ჰო... ჰო... ჰო...“ „მერსედესის“ მგზავრები იფიქრებენ, დაგვცინისო და უფრო გააქტიურდებიან. ბოლოს და ბოლოს, მამაკაცი ამოთქვამს: „ჰონდას“ საჭე მარჯვნივ აქვს, თქვე უჯიშოებო, მე რას მიბრახუნებთ?!“

*****

რუსი: ჩვენ მაგარი ქალები გვყავს!

იაპონელი: ჩვენ მაგარ ხალიჩებს ვამზადებთ!

გერმანელი: ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ძალიან სწრაფ ტემპში ვითარდება!

იტალიელი: ჩვენ ტოტო კუტუნიო გვყავს!

ქართველი: ჩვენ რუს ქალებთან გვაქვს სექსი იაპონურ ხალიჩაზე გერმანული ტემპით, ტოტო კუტუნიოს სიმღერის ფონზე!!!

*****

მიხო ტაქსში ზის. მძღოლი ძალიან სწრაფად დადის, გადაირია მიხო.

– მაიცა, კაცო, ნელა იარე, თორემ შევრცხვები მორგში – გახეული „ტრუსიკი“ მაცვია, – წამოიძახებს შეშინებული.

*დავით ახობაძის ნახატები*



მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

**ახლა ისეთი დროა, სადაც არ უნდა გაიხედოთ, უმრავლესობა იმას ამბობს, სულ არ მაინტერესებს, ვის ვუყვარვარ, ვის არა და ვის რა აზრი აქვს ჩემზეო.**

**თუ დავფიქრდებით, ეს მხოლოდ მავანთა მცდელობაა, გარშემომყოფებს თავი „მაგარ ტიპებად“ მოაჩვენონ და როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, აბსოლუტურად ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, უყვარხართ თუ არა ის გარშემომყოფებს.**



# უყვარხართ თუ არა გარშემომყოფებს?

**ეს ტესტი დაგეხმარებათ, გაიგოთ, რამდენად სარგებლობთ ნაცნობი და უცნობი ადამიანების სიყვარულით.**

1. უნდა გახსოვდეთ, რომ დღის მანძილზე თითქმის ყოველწუთიერად გამადიდებელი შუშით გაკვირდებიან ისინი, ვისთანაც ურთიერთობა გიწევთ?

დიახ; არა.

2. ადამიანს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის გრძნობა განვითარებული იმდენად, რომ განიხილავდეს მეგობრებთან საკუთარ ჰობის იმის გათვალისწინების გარეშე, იზიარებენ თუ არა მის გატაცებას დანარჩენები?

დიახ; არა.

3. ყველაზე დიდი სიბრძნეა ის, შეინარჩუნო ღირსება მაშინაც კი, როცა არსებობს ძლიერი ცდუნება, სხვანაირად მოიქცე?

დიახ; არა.

4. თუკი ადამიანი ამჩნევს შეცდომებს სხვის საუბარში, უნდა შეუსწოროს.

დიახ; არა.

5. როცა ხვდებით უცხო ადამიანებს, უნდა იყოთ საკმარისად გონებამახვილი და მიმზიდველი, რომ შთაბეჭდილება მოახდინოთ.

დიახ; არა.

6. როცა უცნობ ადამიანს გაცნობენ და მის სახელს ვერ გაიგებთ, სთხოვთ, გაიმეოროს?

დიახ; არა.

7. დარწმუნებული ხართ, რომ პატივს გცემენ იმის გამო, რომ არასოდეს არავის აძლევთ უფლებას, გაგეხუმრონ?

დიახ; არა.

8. ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოთ, თორემ გარშემომყოფები დაგცინებენ და უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებენ.

დიახ; არა.

9. როცა ურთიერთობთ გონებამახვილ ადამიანთან, ამჯობინებთ, არ აჰყვეთ კამათს, მოკლედ მოუჭრათ სათქმელი და შეეშვათ.

დიახ; არა.

10. ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ მისი საქციელი შეესაბამებოდეს კომპანიის განწყობას, რომელშიც იმყოფება.

დიახ; არა.

11. ყოველთვის უნდა დაეხმაროთ მეგობრებს იმიტომ, რომ შესაძლოა, მათი დახმარება თავადაც დაგჭირდეთ.

დიახ; არა.

12. არ ღირს სხვებზე ზედმეტად ზრუნვა, რადგან ბოლოს მაინც ბევრი ვერ შეაფასებს სიკეთეს შესაბამისად.

დიახ; არა.

13. უმჯობესია, სხვები იყვნენ თქვენზე დამოკიდებული, ვიდრე თქვენ – სხვაზე.

დიახ; არა.

14. ნამდვილი მეგობარი ცდილობს, საყვარელ ადამიანებს ყველაფრით დაეხმაროს.

დიახ; არა.

15. ადამიანმა უნდა გამოამზეუროს ყველა თავისი საუკეთესო თვისება, რათა შესაბამისი აღიარება და დაფასება მოიპოვოს.

დიახ; არა.

16. თუკი ისმენთ ანეკდოტს, რომელიც იცით, მთხრობელი უნდა გააჩეროთ.

დიახ; არა.

17. როცა ისმენთ ანეკდოტს, რომელიც იცით, უნდა იყოთ საკმარისად თავაზიანი, რომ გულიანად გაიცინოთ.

დიახ; არა.

18. თუკი დაგპატიჟეს მეგობართან, თქვენ კი გირჩევნიათ კინოში წასვლა, იტყვით, რომ გტკივათ თავი ან მოიგონებთ სხვა ტყუილს, რომ რეალური მიზეზის გამხელით მეგობარს გული არ ატკინოთ.

დიახ; არა.

19. ნამდვილი მეგობარი მოითხოვს, რომ მისი ახლობლები მოიქცნენ ისე, როგორც თავად სურს, თან მაშინაც კი, როცა სხვებს ასეთივე სურვილი არ აქვთ.

დიახ; არა.

20. ადამიანებმა არ უნდა დაიჟინონ საკუთარი სიმართლის მტკიცება ყოველთვის, როცა ვინმე სხვა მის საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს.

დიახ; არა.



**ინსტრუქცია:** მონიშნეთ პასუხები „დიახ“, თუ ეთანხმებით, და „არა“, თუ წინააღმდეგი ხართ. შემდეგ ყოველ პასუხზე, რომელიც სწორია, დაიწერეთ 5 ქულა. სწორი პასუხებია: „დიახ“ – 6, 13, 14, 20. „არა“ – ყველა დანარჩენი.

**ტესტის შედეგები:**

**0-60 ქულა:** სამწუხაროდ, ტესტი იმას გვეუბნება, რომ გარშემომყოფთა დიდი სიყვარულით ვერ სარგებლობთ. რაღა თქმა უნდა, ეს ის სიტუაციაა, რომელსაც გამოსწორება აუცილებლად სჭირდება, რადგან დიდი ეჭვი გვაქვს, ასეთი ცხოვრება დიდად მომხიბვლელი არ უნდა იყოს. შეეცადეთ, შეიცვალოთ ხასიათი, განსაკუთრებით კი ის თვისებები, რომლებიც გარშემომყოფების ზედმეტ გაღიზიანებას იწვევს.

**61-70 ქულა:** გარკვეული ნაწილი პატივს გცემთ, უყვარხართ და სიმპათიას ღიად აფიქსირებს. მაგრამ უმჯობესია, იზრუნოთ და გამოასწოროთ ყველა დანარჩენი თვისება, რომლებიც უმეტესობას საშინლად არ მოსწონს.

**71-80 ქულა:** გარშემომყოფებს უყვარხართ და შესაძლოა, რამდენიმემ თქვენთვის საკუთარი თავიც კი უკან დაწიოს.

**81-100 ქულა:** შესანიშნავი შედეგია, ყოჩაღ! ფაქტია, აბსოლუტურ უმრავლესობას უსაზღვროდ უყვარხართ, უდიდეს პატივს გცემენ და მოკლედ, ნამდვილი მეგობარი ხართ ყველაზე საუკეთესო თვისებებით.



გოგონა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობს. მძღოლისთვის ფული აქვს გადასაწოდებელი. წინ უცნობი გოგონა ელობება. დაიწყებს ლოგიკურად მსჯელობას: რადგან ბოლოსწინა გაჩერებაზე არ ჩავიდა, ესე იგი ბოლოში ჩადის. გამოდის, რომ ჩემს უბანში მიდის. ხელში ღვინო უკავია, ესე იგი, მამაკაცთან უნდა მიდიოდეს. ღვინო ძვირფასია, ალბათ, მომხიბვლელ მამაკაცს ხვდება. ჩემს უბანში მხოლოდ ორი მომხიბვლელი მამაკაცია – ჩემი ქმარი და ჩემი საყვარელი. ჩემს საყვარელთან ვერ მივა, რადგან ის მე მელოდება. ესე იგი, ჩემს ქმართან მიდის. ჩემს ქმარს ორი საყვარელი ჰყავს: თეონა და ნინუცა. ნინუცა ახლა ქალაქში არ არის.

– თეონა, ეს ფული მძღოლს გადააწოდე, თუ შეიძლება.

გოგონა განცვიფრებული პასუხობს:

– საიდან იცით ჩემი სახელი?!

*****

ლომი გამოაცხადებს, ვინც ტყეში „დიდზე მოისაქმებს“, შევჭამ, არ ვაცოცხლებო. გავა ორი კვირა. ლომი ტყეში მისეირნობს. ხეზე ფრინველს დაინახავს და მიესალმება:

– ვაჰ, ბუს ვახლავარ!

– ბუ კი არა, ბეღურა ვარ, შენი შიშით ორი კვირა კუჭში ვერ გავსულვარ!!!

*****

ქობულეთში ტურისტი იხრჩობა. შევარდება მაშველი, გამოიყვანს, ხელოვნურ სუნთქვას ჩაუტარებს, მოკლედ, დიდი წვალების შემდეგ მოაბრუნებს.

ცოტა ხანში მაშველს სიკვდილს გადარჩენილი ტურისტის მშობელი მიაკითხავს.

– ა გდე ტაპოჩკი, ცავატანემ?!

*****



– მახსოვს, ჩვენს საბავშვო ბაღში ერთი ბიჭი იყო, ყველას ურტყამდა, ჩემ გარდა. ძალიან მაგარი ვიყავი და ყოველთვის საკადრის პასუხს ვუბრუნებდი. ზუსტად ამისთვის გამომაგდეს ბაღიდან.

– რატომ?!

– ასე მითხრეს, დარაჯი ბავშვებთან არ უნდა ჩხუბობდესო...

*****

ნადირობიდან დაბრუნებული მეგრელი უყვება მეორეს:

– ხოხ, რა ეშმაკი და მატყუარა ცხოველი ყოფილა ეს მელია, კაცო!

– რა მოხდა?

– რა და, დავინახე, ჩავუსაფრდი, დავუმიზნე, ვესროლე, მოვკალი, მივედი და ძაღლი არ ყოფილა?!

*****

ჭიჭიკია ზის ოთახში. შემოდის სიდედრი ცოცხით. ჭიჭიკია ეუბნება:

– ქალბატონო ცისანა, უნდა დაგავოთ თუ სადმე მიფრინავთ?

*****

ვაჟი მამას ეკითხება:

– მამიკო, მართალია, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სიძემ არ იცის, ვისზე ქორწინდება?

– ეჰ, ეს ყველა ქვეყანაში მასეა, შვილო!..

*****

მაღაზიაში ძალიან მსუქანი ქალი შედის:

– ძალიან მაინტერესებს ვიპოვო საცურაო კოსტიუმი, რომელიც მომერგებოდა!

გამყიდველი:

– ჰო, ეგ მეც ძალიან მაინტერესებს...

**ნეკროლოგები,**
**განცხადებები,**
**მილოცვები**

მიიღება ყოველდღე,
კვირის გარდა
12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101).





# ვაკანსია

**„ალია ჰოლდინგი“** მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტე-ბისთვის აცხადებს კონკურსს „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ საინ-ფორმაციო განყოფილების რედაქტორის თანამდებობაზე.

**ხელფასი 800 ლარიდან.**

ასევე სამუშაოდ იწვევს კრიმინალის, საზოგადოების, ეკონომიკის და სოციალურ საკითხებზე მომუშავე გამოცდილ ჟუ-რნალისტებს. **ხელფასი 600 ლარიდან.**

*ტელეფონი:*
577 74 99 89 *თამაზ ბესტავაშვილი (15 საათის შემდეგ)*
221 21 80 (106) *მანანა გიორგაძე*


საპროტესტო აქციის მონაწილეები მა-ზოხისტები იყვნენ, დამრბევი პოლიციელე-ბი – სადისტები. ყველამ უდიდესი სიამ-ოვნება მიიღო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ დავით ახობაძის ნახატი*

მე-14 გვერდის სკანვორდის პასუხები

1. ჯავახიშვილი; 2. მაჭავარიანი; 3. სირაჯი; 4. კუპრი; 5. ბილიკი; 6. ხბო; 7. ბუ; 8. ბუმბერაზი; 9. მამაცი; 10. აფსუს; 11. მორისეტი; 12. ლამაზისეული; 13. რა; 14. სასადილო; 15. ლომონოსოვი; 16. სარდალი; 17. ანანური; 18. ვირთაგვა; 19. „გალათასარაი“; 20. ლიმა; 21. ჯარისკაცის; 22. „სანტე“; 23. კირილ; 24. ლინო; 25. სირენა; 26. დონი; 27. პირამიდა; 28. მარტინა; 29. ბაგრატიონი; 30. ტოგა; 31. გოია; 32. შარა; 33. ტენერიფე; 34. სმირნიტსკი; 35. იმა; 36. ცენტნერი; 37. ოსტატი; 38. არწივი; 39. წინანდალი; 40. მინელი; 41. ანცი; 42. ციალი; 43. მინინი; 44. არა; 45. ეტნა; 46. გონიო; 47. აყალმაყალი; 48. უდაბნო; 49. სინდიყი; 50. დონიცეტი; 51. „ქაჯანა“; 52. ანძა; 53. ფიჭა; 54. ფიონა; 55. ესტაფეტა; 56. საფანტი; 57. ქრონომეტრი; 58. ამირანი; 59. ლიდერი; 60. ბალონი; 61. ლომვეშაპი; 62. აბელ; 63. რონა; 64. დალმატინელი; 65. ბია; 66. კორსიკა; 67. დრონი; 68. ძაფი; 69. ფრესკა; 70. „ნირვანა“; 71. ოყა; 72. „ავატარი“; 73. ანდანტე; 74. ნეფერტიტი; 75. ჰორნი; 76. ტიარა; 77. ბარბეკიუ; 78. მელომანი; 79. კაფია; 80. სამოა; 81. პომადა; 82. კონ; 83. ვუ; 84. ლვოვი; 85. ტორტი; 86. ნერპა; 87. კვებეკი; 88. ტერ; 89. ნისლი; 90. ზარბაზანი; 91. ლიტრი; 92. მაკარ; 93. რამაზანი; 94. მონტე; 95. ანტი; 96. ასპიტი; 97. ნიკე; 98. ნოსტე; 99. კონიაკი; 100. მეი; 101. კარლოს; 102. კიკუ; 103. ირიდა; 104. ირისი; 105. პონი; 106. ბონდი; 107. კალორია; 108. ოქრო; 109. როტარუ; 110. ნიუტონი; 111. ლისტი; 112. მიდია; 113. ხაში; 114. ნიაგარა; 115. კიტონი; 116. ოპერა; 117. ოზონი; 118. იანკი; 119. კუბერტენი; 120. ბროლი; 121. მარტო; 122. აგვისტო; 123. ლამა; 124. ოაზისი; 125. ნისკარტი; 126. ლილუ; 127. რაუტი; 128. იან; 129. ოტო; 130. სვია; 131. ორბიტა; 132. მო; 133. ტიმ; 134. ოცი; 135. აგნია; 136. უმი; 137. ტვინი; 138. კიი; 139. რაც; 140. ოსტაპ; 141. ცილა; 142. ტუტი. იკითხება: ჯეკ ნიკოლსონი.

## ამინდი

თბილისი

28 მაისი

| | |
|---|---|
| ღამე | +13 |
| დღე | +24 |

რეგიონები

28 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +23 | ღამე | +13 |
| ქუთაისი | +24 | ღამე | +13 |
| თელავი | +25 | ღამე | +12 |
| ფოთი | +20 | ღამე | +15 |
| გორი | +22 | ღამე | +11 |
| ზუგდიდი | +23 | ღამე | +13 |

# ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04

**28 მაისი:** შეიძლება დღეს რაღაც არნახულ შედეგს მიაღწიოთ. ყურადღებით იყავით, რომ რამე მნიშვნელოვანი არ გა-მოგრჩეთ.

### კურო 22.04-21.05

**28 მაისი:** შეეცადეთ, ეს დღე საკუთარ თავს დაუთმოთ. დაის-ვენეთ, გაერთეთ და ხვალისთვის ფორმაში იყავით.

### ტყუპები 22.05-21.06

**28 მაისი:** როგორც ჩანს, ვილაცამ თვალი დაგადგათ და ალბათ, გამოგეცნაუ-რებათ კიდეც. შეიძლება დღეიდან თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შე-იცვალოს.

### კირჩხიბი 22.06-22.07

**28 მაისი:** შეიძლება საღამოსკ-ენ სასაცილო გახდეთ. ამაში ცუდი არაფერია, მთავარია, ღრმად არ შეტოპოთ.

### ლომი 23.07-22.08

**28 მაისი:** ფრთხილად იყავით, შეიძლება სულელურმა აზრებმა შემოგიტიოთ. ახლა თქვენზეა დამოკიდებული, რამდე-ნად მოუფრთხილდებით საკუთარ რეპუტაციას.

### ქალწული 23.08-22.09

**28 მაისი:** მოგეჩვენებათ, რომ თქვენი დიდი ხნის ოც-ნებები აუხდენელია. გული არ გაიტეხოთ ცხოვრება წინაა და ბევრად მეტის მიღწე-ვაც შეიძლება.

### სასწორი 23.09-22.10

**28 მაისი:** რაღაცების შეცვლა მოგიწევთ. ურიგო არ იქნება, თუ ალტერნატივას მოუძებნით ყვე-ლაფერს, რაც არ მოგწონთ.

### მორიელი 23.10-21.11

**28 მაისი:** პრობლემამ, რომელიც დიდი ხნის მოგვარებული გეგონათ, შეიძლება კვლავ იჩინოს თავი. ასე რომ, მზად იყავით მოულოდნელობებისთვის.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**28 მაისი:** დღეს რამე მარტივი გასართობის მოძიება მოგიწევთ, ისეთის, რაც ძალისხმევას არ მოითხოვს.



### თხის რქა 22.12-19.01

**28 მაისი:** დღეს თან-ამოსაუბრეებს თვალებში ჩახედეთ. ასე უფრო დარწმუნდებით, რამდენად გულ-წრფელი არიან ისინი.

### მერწყული 20.01-18.02

**28 მაისი:** არ არის გამორიცხუ-ლი, მნიშვნელოვანი გადაწ-ყვეტილების მიღება მოგიწიოთ. ამიტომ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ.

### თევზები 19.02-20.03

**28 მაისი:** ფულთან მიმართებაში აკურატუ-ლობა გმართებთ. დიდია ალბა-თობა, რომ საკმაო თანხა უაზრობაში დახარჯოთ.


„ალია-ჰოლდინგი“
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე



**რედაქტორი:**
თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
alia@alia.ge

საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი
თემურ ჟუმბურიძე
(595 26 83 83) 221 21 80 პირადი (110)

მედიაჯგუფი:
1. ვარდიაშვილი ნელი 599 65-81-95, 221 21 80 ან 233 20 06 (226), 790 658 195
2. ზედელაშვილი გელა 555 48-48-61, 221 21 80 ან 233 20 06 (128), 790 333 803
3. ოქრუაშვილი თამარ 599 10-93-50, 221 21 80 ან 233 20 06 (129), 790 433 395
4. სამხარაძე ნინო 599 71-14-22, 221 21 80 ან 233 20 06 (130), 790 411 422
5. სახვაძე მიხეილ 599 93-28-03, 21 21 80 ან 233 20 06 (108)
6. თვალაბეიშვილი ნანა (ქუთაისი) 595 73 73 90
7. ქანთარია მამუკა (ლანჩხუთი) 597 09 98 98

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჟაჟვაძე (599 55-45-22)

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
2-212-099
592-555-552
577-732-000
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.





რედაქციის მისამართია:
აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.46

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

„ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომლის, მედიცინის დოქტორის, ნინო ადამიას მეუღლე, ცნობილი ქართველი კალათბურთელი

**გელა დარსაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ჟინვერი, შვილები დოდო და კახა, რძალი მარინა, დედმამიშვილები ემზარი, ბორისი, აბო და ელიკო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაურბეგ გრიგოლის ძე ონიანი**

**გასვენება:** შაბათს, 18 მაისს, 15:00 საათზე;
**მისამართი:** ლენტეხის რაიონი, სოფელი ჟახუნდერი.

„ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას





## ამინდი

**თბილისი**

**24 მაისი**
ღამე +15
დღე +29

**25 მაისი**
ღამე +14
დღე +28

**26 მაისი**
ღამე +14
დღე +26

## რეგიონები

**24 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +34 | ღამე | +18 |
| ქუთაისი | +38 | ღამე | +20 |
| თელავი | +28 | ღამე | +14 |
| ფოთი | +35 | ღამე | +19 |
| გორი | +30 | ღამე | +13 |
| ზუგდიდი | +37 | ღამე | +17 |

**25 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +25 | ღამე | +14 |
| ქუთაისი | +28 | ღამე | +16 |
| თელავი | +29 | ღამე | +15 |
| ფოთი | +25 | ღამე | +16 |
| გორი | +28 | ღამე | +13 |
| ზუგდიდი | +26 | ღამე | +15 |

**26 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +22 | ღამე | +16 |
| ქუთაისი | +24 | ღამე | +16 |
| თელავი | +26 | ღამე | +15 |
| ფოთი | +20 | ღამე | +17 |
| გორი | +24 | ღამე | +12 |
| ზუგდიდი | +22 | ღამე | +17 |

**„ალია პოლდინგი“ სამუშაოდ იწვევს PageMaker-ში მომუშავე გამოცდილ დამკაბადონებელს. ანაზღაურება შეთანხმებით. ტ. 577 777 436.**

## იუმორი

მომზადდა მიხეილ სახვაძემ





მომზადდა მიხეილ სახვაძემ დავით ახობაძის ნახატი

ს.ს. თელასიაცხადებს №66/41 ფასთა ღია გამოკითხვას ავტომანქანების საბურავების შესყიდვაზე

ორგანიზაციებს დეტალური ჩამონათვალის მიღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს "თელასის" შესყიდვების განყოფილებას ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

შემოთავაზებები დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა №3, 1 სართული.

*წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 07 მაისი 17სთ.*

ს.ს. ,,თელასი“ აცხადებს №17/45 ფასთა ღია გამოკითხვას 0,4კვ - ს შემყვანი გამანაწილებელი მოწყობილობების შესყიდვაზე

ორგანიზაციებს დეტალური ჩამონათვალის მიღება შეუძლიათ განცხადების გ დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა №3, 1 სართული.

*წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 07 მაისი 17სთ.*

## ტესტი

თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა და უკაცრიელ კუნძულზე ჩამოვარდა. როცა ადგილზე მაშველები მივიდნენ, ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი ადამიანი გარდაცვლილთა ძვლების გროვაში იჯდა და უკანასკნელ ძვალს ხრავდა.

გადარჩენილი:

– მესმის, რომ გეზიზღებით იმისთვის, რაც გავაკეთე, მაგრამ იძულებული გავხდი, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ასეთი საშინელება ჩამედინა.

მაშველთა მეთაური შეშფოთებული უპასუხებს:

– რა თქმა უნდა, მესმის, სიცოცხლის გადარჩენისთვის ადამიანი ყველაფერზეა წამსვლელი, მაგრამ ეს ოხერი თვითმფრინავი ხომ გუშინ საღამოს ჩამოვარდა?!

*****

ჯალათი მთელი ღამე ემზადებოდა საიუბილეო – მე-1000 სიკვდილით დასჯისთვის: ხმალი გააპრიალა, იმდენი ლესა, სამართებელს დაამსგავსა. დილით ეშაფოტზე სიკვდილმისჯილმა თავი კუნძზე დადო, ჯალათმა ხმალი მოიქნია.

სიკვდილმისჯილი:

– უი, მორჩა?

ჯალათი:

– კი, მორჩა.

– და რატომ ვერაფერს ვგრძნობ?

– აბა, თავი გააქნიე...

*****

ქუჩაში მოხუცებული ბებო მიდის. ორივე ხელში ჩანთა უჭირავს – დიდი და პატარა. დიდი ჩანთიდან ყოველი 10 ნაბიჯის შემდეგ 10-ლარიანი უვარდება. პატრული გაეკიდება და ეტყვის: „ბებო, შენი ჩანთიდან ფული ცვივა“. მოხუცი გაჩერდება: „უი, აბა, უნდა გავბრუნდე და მოვაგროვო“, მაგრამ პატრული მკაცრად უპასუხებს: „ჰო, მაგრამ მე ის მაინტერესებს, საიდან გაქვს ამდენი ფული, მოიპარე?!“ ბებო: „არა, შვილო, უბრალოდ, სტადიონთან ახლოს ვცხოვრობ. როცა რომელიმე გულშემატკივარი ბუჩქებში შევარდება მოსასაქმებლად, გალესილი მაკრატლით ვხვდები და ვეუბნები: ან 10 ლარი ან მოგაჭრი!“

პატრული გაიცინებს: „ეგ მაგარი რამე მოგიფიქრებია, ყოჩაღ, ბებო! და მეორე ჩანთაში რაღა გაქვს?“

ბებო: „10 ლარს ყველა არ იხდის ხოლმე...“

*****

– როცა ცოლს ეჩხუბები, როგორ მიმართავ ხოლმე?

– „ჩემო ბაჭია“.

– მოიცა, ჩხუბის დროსაც ეფერები?

– შიმშილის დროს კურდღელი საკუთარ ცურცლს ჭამს ხოლმე. ჩემი ცოლი ზოოლოგია, ესმის საკითხი...

*****

ქორწილი მშვიდობით დამთავრდა, სიძე-პატარძალს შორისაც ღამით მოსახდენი მოხდა.

სიძე:

– ძვირფასო, მე მივხვდი, რომ ეს შენი პირველი სექსი არ არის!

პატარძალი (სიგარეტს ღრმა ნაფაზს ურტყამს):

– ჰო... მე კი იმას მივხვდი, რომ არც უკა-[illegible]ელი!

# გესმით თუ არა საკუთარი შვილის?

**ის, რაც მშობლებს თავიანთი შვილებისგან ესმით, პირდაპირ გავლენას ახდენს მათ ურთიერთობაზე. მაგალითად: „დე, რაღაც თავი ამტკივდა, თან ძალიან...“ _ მართლა ტკივა თავი თუ, უბრალოდ, სკოლაში წასვლა ეზარება?**

**პატარების გაგება არცთუ იოლი საქმეა. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ბავშვები ხშირად თავიანთ მშობლებზე ბევრად ენერგიულები და საზრიანები არიან. მაშინაც კი, როცა მორიგ ცუღლუტობას მოიგონებენ, გარეგნულად შესაძლოა, ისე გამოიყურებოდეს, მშობელს უმცირესი ეჭვიც არ გაუჩნდეს. უნდა დაუჯეროთ? მეორე მხრივ, უამრავ მშობელს შეუძლია, შვილის ჩანაფიქრი მხოლოდ მისი გამომეტყველებით ამოიცნოს.**

### და თქვენ რამდენად კარგად გესმით საკუთარი შვილის?

**1. შვილი გეუბნებათ: „გეხვეწები, კვირას ადრე არ გამაღვიძო, გამოძინება მინდა“:**

ა) რა თქმა უნდა, დაიღალა პატარა, სასწავლო წლის ბოლოა, გამოცდები აქვს, ბევრს მეცადინეობს და დასვენება მართლა სჭირდება;

ბ) თუ მართლა უნდოდა გამოძინება, შუა ღამემდე კომპიუტერთან არ იჯდებოდა!

გ) უბრალოდ, დასვენების დღეს უფრო დიდხანს ძილი სურს.

**2. შვილთან ერთად გასეირნება მოგინდათ, ის კი გპასუხობთ: „ჩემს გარეშე წადი, რაღაც განწყობაზე ვერ ვარ“:**

ა) ძალიანაც კარგია, როცა ბავშვი დამოუკიდებლად იზრდება და თავად ირჩევს, თავისუფალი დრო როგორ გაატაროს;

ბ) როგორც ჩანს, ძალიან გაირიყა. სამწუხაროა, რომ სხვა რაღაცები უფრო აინტერესებს, ვიდრე მშობლებთან ურთიერთობა;

გ) უბრალოდ, სახლში მარტო დარჩენა უნდა.

**3. თქვენი ქალიშვილი სახლში გაბრაზებული ბრუნდება და უახლოეს მეგობარს ლანძღავს.**

ა) მას სურს, მოვუსმინო და ალბათ, თანავუგრძნო;

ბ) კარგი იქნებოდა, თუ ყურადღებას მიაქცევდა, როგორ იქცევა ხოლმე თავად. შესაძლოა, მეგობარი არაფერ შუაში იყოს;

გ) ალბათ, მეგობარი ცუდად მოიქცა.

**4. ვაჟს სთხოვთ, ფეხსაცმელები გაირეცხოს, რაზეც გპასუხობთ: „არ შემიძლია, ბევრი სამეცადინო მაქვს“:**

ა) როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება სწავლას! ასეთი სერიოზული დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობის მიმართ აუცილებლად უნდა წახალისდეს;

ბ) უქნარა! ვერ მომატყუებს ასეთი ცუღლუტობით;

გ) დღეს იმდენი აქვს სამეცადინო, რომ ფეხსაცმლის რეცხვისთვის დრო მართლა არ რჩება.

**5. სადილზე ქალიშვილი ცოტას ჭამს და გპასუხობთ: „რაღაც არ მშია“:**

– მამი, რა მაგარი ტუალეტი გვაქვს, კარს რომ ვაღებ, შუქი თავისით ინთება ხოლმე.

– ვააჰ, ისევ მაცივარში მოფსი, შე შობელძაღლო?!

*****

თეატრი. სინათლე ჩამქრალია. სრული სიჩუმეა, ყველა სპექტაკლს უყურებს. უეცრად მესამე რიგიდან განწირული ადამიანის ხმა ისმის:

– ექიმი! არის აქ ვინმე ექიმი?!

სადღაც აივნიდან უპასუხებენ:

– მე ვარ ექიმი, რა მოხდა?

– კოლეგა! ეს რა იდიოტობას გვაყურებინებენ?!

*****

პატარა ბავშვს ხელში განავალი უჭირავს და დედასთან გახარებული გარბის:

– დედიკო, შეხედე, კინაღამ ამაში ჩავყავი ფეხი!!!

*****

ზარი ცირკში:

– გამარჯობათ! მახინჯი ადამიანი არ გჭირდებათ?

– გაგიმარჯოთ! რას გვთავაზობთ?

– 2 თავი მაქვს.

– მართლა? შესანიშნავია!

– ჰო, კიდევ, ერთ თავზე 3 ყური მაქვს.

– წარმოუდგენელია!

– მეორეზე კი 4 თვალი.

– სენსაციაა! აუცილებლად უნდა შევხვდეთ!

– კარგით, მაშინ ხვალ მერიასთან შეგხვდებით, რომ მიცნოთ, ხელში ყვავილები მეჭირება...

*****

თუკი საავადმყოფოები სამუშაოდ ყრუ ქირურგებს მიიღებენ, ნარკოზის დაზოგვა მოხერხდება...

*****

– ყველასგან დავიღალე... მარტო მინდა ცხოვრება! – გაიფიქრა წყალბადის ბომბის გამომგონებელმა.

*****

– გამარჯობა, შეიძლება ჩემი ქალიშვილი თქვენი სინქრონული ცურვის წრეზე ჩაწეროთ?

– ძალიან დროულად მოხვედით – გუშინწინ ერთი დაგვეხრჩო და...

*****

– თავი გტკივა?

– მოიცა... არა, არ მტკივა... და რა იყო?

– აფსუს, არ მუშაობს... არაფერი, ვუდუს თოჯინას ვცდიდი და...

*****

– ექიმო, რატომ მზომავთ?

– მე ექიმი არ ვარ, მეკუბოვე ვარ, წელან დამირეკეს, მოდიო...



მამუკა ქანთარია
„ალიასთვის“ ოზურგეთიდან
597 09-98-98

ხათუნა ელბაქიძე
591 41-27-97



ნანა თვალაბეიშვილი
„ალიასთვის“ ქუთაისიდან
595 73-73-90



თამარ ბატიაშვილი
597 56 09 88



მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



გიორგი საკარული
555 42-42-90



თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50



ნელი ვარდიაშვილი
599 65-81-95



მირანდა ნაბახტეველი
555-62-13-63



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



თემურ ჭუმბურიძე
595 26-83-83



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



მარი გულორდავა
555 59-47-76



მარიკა ჩხიკვაძე
597 40-09-93



შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს № CONST 27-13/1 ღია კონკურსს შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კუთვნილი და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 საათი*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს № CONST 27-13/2 ღია კონკურსს შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს № X1-03-2013 ღია კონკურსს სს „ხრამჰესი 2“ -ის კუთვნილი და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330954, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 სთ.***

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს № X1-04-2013 ღია კონკურსს სს „ხრამჰესი 2“ -ის თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330954, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 სთ.***